გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№386 (445) 8-15 ნოემბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ბორბი სიჭინავა: სულგაყიდული მთავრობა და დაბნეული ქვეყანა

გვ.3

როლანდ ჯალაღანია: არაა, ბიძიკოებო, პოლიტიკა თქვენი საქმე!..

გვ.4

ჰამლეტ ჭიპაშვილი: ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების მოლოდინში

გვ.2

არც ერთმა შვილმა არ იცოდა, როგორ გაჰქონდა თავი ბებოს, არც ერთ შვილიშვილს არ დაუ-რეკავს და მადლობა არ გადაუხდია გამოგზავნილი ძღვენისთვის...

გვ.5

დავით თორდია – დურგალი

უკაცრავად, უკანალი ხომ არ გაგისივდათ უსაქმოდ ჯდომით, ბატონებო?!

გვ.5

გვ.9

ქართველი ფიზიკოსის რჩევები მობილური ტელეფონების მფლობელებს

ბალდათში გაქვავებული გიგანტური ცხოველები იპოვეს – სენსაციური აღმოჩენა!

გვ.7

ერდოღანი: „მოსული და ბათუმი თურქეთს ეკუთვნოდა, ყარაბაღი, ყირიმი და აზერბაიჯანი ჩვენი ინტერესების სფეროში შედის“

გვ.10

გვ.7

სააკაშვილმა მემედ აბაშიძის ძეგლი სანაგვეზე მოისროლა!

ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების მოლოდინში

სახელმწიფო ორგანოების შემცირება-გაუქმების თემა, ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევასთან ერთად, ისევ აქტუალური გახდება. ეს საკითხი ახალი პარლამენტის პირველსავე სხდომაზე განიხილება და გადაწყდება. აქ საეჭვო არაფერია. უმრავლესობაში მოსულ **„ოცნებას“** მწვანე შუქი აქვს ანთებული მთავრობის ჩამოყალიბებაში. მას ამ მხრივ ვერც **„ნაციონალური“** უმცირესობა და ვერც პარლამენტში მოხვედრილი სიმბოლიური ძალა – **„პატრიოტთა ალიანსი“** ვერ შეეცილება.

„ოცნების“ შემქმნელმა ბიზნესმენმა ივანიშვილმა, არჩევნების დაწყებამდე განაცხადა, რომ დღევანდელი პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი გამოცდილი, პატიოსანი, გაწონასწორებული პიროვნებაა და ის წარუძღვება ახალ აღმასრულებელ ხელისუფლებასო.

ივანიშვილის ნათქვამი სულაც არ ჰგავს წინასწარმეტყველებას. ის, იმ გეგმის შემადგენელი ნაწილია, რაც ბიზნესმენმა შეიმუშავა და შესასრულებლად დაუსახა თავის პირმშო **„ოცნებას“**, საზოგადოებას. გეგმაში **„ოცნების“** ისეთი გამარჯვება იყო ჩაფიქრებული, როგორსაც 8 ოქტომბერს ჰქონდა ადგილი. ასე რომ, ივანიშვილმა რახანია აირჩია კვირიკაშვილი და **„ოცნებელი“** პარლამენტარები გაბედავენ ვინმე სხვის დასახელებას?!

რაც შეეხება ვიცე-პრემიერებს და მინისტრებს – **„წინასწარმეტყველს“** არ დაუსახელებია, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას – სია გამზადებული ექნება და არა მარტო სია, არამედ სამინისტროების შერწყმა-გაუქმების პროექტიც.

აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციონირება ნებისმიერ ქვეყანაში საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, მით უმეტეს ისეთში, როგორიც საქართველოა. და რატომ? იმიტომ, რომ მინისტრთა კაბინეტი, სამინისტროები, მათი აპარატები ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებიან და ნებისმიერი საკითხის მოგვარებას მოსახლეობა მხოლოდ მათთან აკავშირებს. თუ რამდენად მზად არის სამინისტროები საკითხების მოსაგვარებლად – სხვა თემაა, მაგრამ როგორც ამბობენ – იმედი ბოლოს კვდება.

განვლილი 4 წლის განმავლობაში არც ერთ სამინისტროს კარგი მუშაობით თავი არ დაუმახსოვრებია მოსახლეობისთვის, რაც კარგად ჩანს მოსახლეობის აზრის გამოკითხვის დროს – როდესაც რესპონდენტები კატეგორიულად მოითხოვენ სამინისტროების რაოდენობის შემცირებას, იქ მომუშავე მოხელეებისთვის ხელფასების დაკლებას, დანამატებისა და პრემიების გაუქმებას და ა.შ. ერთადერთ გამონაკლისს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო შეადგენს. მოსახლეობა მას ემადლიერება უფასო ან შეღავათიანი ოპერაციების კეთებისთვის.

მართლაც დიდი საქმეა, როდესაც სასწრაფო დახმარების **„კარეტით“** საავადმყოფოში მიყვანილ პაციენტს უფასოდ უკეთებენ ოპერაციას. მაგრამ ოპერაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, ჩატარებულ სამედიცინო პროცედურებში (რენტგენი, თაბაშირი, ნემსის გაკეთება და სხვა მომსახურება) პაციენტი იხდის ფულს. არაფერს ვამბობ წამლებზე, რომელთა თანხებს როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში პაციენტი ანაზღაურებს.

ნაქები სამედიცინო მომსახურების სისტემაში ექიმთან ვიზიტი, მედიკამენტები და ა.შ. უაღრესად ძვირი უჯდება ჩვენს ისედაც ჯიბეგაღლეტილ მოსახლეობას. საგონებელში ჩავარდნილს მხოლოდ ის ახსენდება, რომ ოპერაცია უფასოდ ან შეღავათიან ფასებში კეთდება. ესეც საქმეაო, ფიქრობს ის – ყვავს კაკალი გააგდებინეს პრინციპით.

პაციენტის მკურნალობა მჭიდროდ უკავშირდება მედიკამენტებს. უფასოდ ჩატარებული ოპერაცია საჭიროებს პაციენტის რეაბილიტაციას, მედიკამენტებს, ექიმთან ვიზიტს, რაც ძვირი და დაუძლეველი პრობლემაა. ამ თემაზე ბევრი ნეგატიურის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს არ არის წინამდებარე სტატიის თემა.

გავაგრძელოთ სამინისტროების შემცირება-შეერთების საკითხზე მსჯელობა. ხელაღებით, გაანალიზების გარეშე სამინისტროს სხვა სამინისტროსთან შეერთება ან გაუქმება, უფრო მეტი ზარალის მომტანი იქნება. თუმცა ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ისეთი სამინისტროებიცაა, რომელთა გაუქმება ან სხვასთან შეერთება დიდი დანაკლისი არ იქნება. მაგალითად, შერიგების სამინისტრო (ციხელაშვილი) უნდა შევიდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დეპარტამენტის სახით, ისე, როგორც დიასპორის და ევროპასთან ინტეგრაციის სახელმწიფო ორგანოები. ცალ-ცალკე მათი დამოუკიდებლად არსებობა, შექმნისთანავე მრავალ კითხვას აჩენდა.

შერიგების სამინისტროს შექმნა შევარდნაძის ინიციატივა იყო და უკავშირდებოდა მოსახლეობისთვის მტვრის თვალში შეყრას. სამინისტროს შექმნით შევარდნაძემ დააიმედა საქართველოს მოსახლეობა, რომ მას აფხაზეთი არ დავიწყებია და დღენიადაგ ფიქრობს მასზე – სამინისტროც კი შექმნა განდეგილის დასაბრუნებლად.

ბიზნესმენმა ივანიშვილმა შეკვეთილში 200 მილიონ ლარად ღირებული საკონცერტო დარბაზი ააშენა და შემდეგ სახელმწიფოს აჩუქა. სახელმწიფო რა თავში იხლის ისეთ საჩუქარს, რომლის შენახვა ძვირი დაუჯდება? რა მოგებას მოუტანს ეს დარბაზი ქვეყნის ბიუჯეტს ან როდის – ჯერაც გამოუცნობია, არადა 200 მილიონით რამდენი საწარმოს გახსნა და უმუშევარი ხალხის დასაქმება შეიძლებოდა?!

მოსახლეობამ მალე დაინახა, რომ აღნიშნული სამინისტრო ვერაფერს გააკეთებდა და კვლავ გამოხატა თავისი გულისწყრომა. შევარდნაძემ, ნაცვლად ქმედითი ნაბიჯის გადადგმისა (აფხაზეთთან მოლაპარაკება), სხვა **„გამოსავალს“** მიაგნო – აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე დანიშნა აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლად, რამაც თავისთავად გამოიწვია სამინისტროსა და აჭარის მეთაურს შორის კულუარული დაპირისპირება.

შევარდნაძის მკვდრად შობილი სამინისტრო დღესაც ფუნქციონირებს, მაგრამ ვერაფერს აღწევს აფხაზეთთან შერიგების საქმეში.

დიასპორის სამინისტრო სააკაშვილის შემოქმედებაა და საგრძნობლად მძიმე ტვირთია გაღლეტილი საქართველოსთვის, ამასთანავე ნათესავ-მეგობრების დასაქმების ადგილი. საზღვარგარეთ ქართული დიასპორა არც ისეთი მრავალრიცხოვანია, როგორც ბერძნული, მაგრამ ბერძნებს სამინისტრო არ შეუქმნიათ. დიასპორასთან ურთიერთობას საგარეო უწყების დეპარტამენტი აგვარებს.

პირველ ეტაპზე აღნიშნული სამინისტროების მიერთება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დიდ აურზაურს არ გამოიწვევს და პროცედურა უმტკივნეულოდ ჩაივლის. შედარებით ხმაურიანი იქნება **„ლტოლვილობაში“** მყოფი აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის გაუქმება. უდავოდ შემედავებიან – ეს პოლიტიკური საკითხია და მისთვის ხელის ხლება არ შეიძლებაო. კეთილი, მაგრამ სადამდე უნდა მოვიტყუოთ თავი?

აფხაზეთის შემობრუნების შემთხვევაშიც კი თბილისში არსებული აფხაზეთის ხელისუფლებას იქ არვინ ჩათვლის ხელისუფლებად. იგივე შეიძლება ითქვას სამხრეთ-ოსეთის აქაური ხელისუფლების მიმართაც.

აფხაზეთთან ურთიერთობა აუცილებელი, საშური საქმეა, რაც სახელმწიფო დონეზე, საგარეო უწყების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს, ეს სულაც არ ნიშნავს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

თვალი შევავლოთ საგარეო უწყებას და საზღვარგარეთის ქვეყნებში გახსნილ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს – აქ ქირურგიული ჩარევის გარეშე საქმეს არ ეშველება. მსოფლიოში არ დარჩა ქვეყანა, სადაც საქართველოს არ ჰქონდეს გახსნილი დიპლომატიური წარმომადგენლობა. რომელი ერთი ჩამოვთვალო – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თუ ლათინური ამერიკის, აფრიკის ქვეყნებში გახსნილი საქართველოს საელჩოები. რომ აღარაფერი ვთქვათ ჩრდილო ამერიკასა და ევროპის ქვეყნებზე.

საელჩოს გახსნა მთელ რიგ საკითხებთან არის დაკავშირებული – უმთავრესად პოლიტიკურ-ეკონომიკურთან, მასპინძელ ქვეყანაში არსებულ დიასპორასთან. როდესაც არც ერთი ჩამოთვლილი საკითხი ახლოსაც არ დგას ჩვენს ქვეყანასთან, საელჩოს გახსნა ფულის ყრაა და მეტი არაფერი, ამასთანავე ხელისუფლებაში მყოფი მოხელეების ნათესავების დასაქმების ადგილი.

საელჩოს შენახვა ისეთი სუსტი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ძვირი ფუფუნებაა. საერთოდ, საელჩოს შენახვა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც მძიმე ტვირთია, ამიტომაცაა, შეთავსებით, ერთი ელჩის რამდენიმე ქვეყანაში ელჩობა. მაგალითად, საფრანგეთში საქართველოს ელჩი შეიძლება იყოს ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში ელჩი. მისი რეზიდენცია რომელიმე აღნიშნული ქვეყნის დედაქალაქში იქნება, საიდანაც ის, წლის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ განახორციელებს ვიზიტებს დანარჩენ ქვეყნებში. ანალოგიურ დიპლომატიურ პრაქტიკას აქვს ადგილი საქართველოს მიმართაც. მრავალი წლის განმავლობაში აზერბაიჯანში იაპონიის ელჩი, საქართველოსაც ფარავდა. მოგვიანებით იაპონიამ საქართველოში გახსნა საელჩო.

თვით საგარეო საქმეთა სამინისტროში ქმედითი სტრუქტურული რეკონსტრუქციაა ჩასატარებელი, ყოველგვარი ფაციფუცისა და მოჩვენებითობის გარეშე, რაც არცთუ იოლი საქმე იქნება სუსტი დიპლომატიური გამოცდილებიდან გამომდინარე.

სამინისტროების შემცირების მთავარი მიზანი სახელმწიფო ბიუჯეტის ეკონომიური ხარჯვისთვის არის გამიზნული. მას მხოლოდ მაშინ ექნება გამართლება, თუ გამონთავისუფლებული თანხები გონივრულად იქნება გამოყენებული და არა ისე ქარაფშუტულად, როგორც დღეს. რა აზრი აქვს ერთ ადგილას ფულის ეკონომიას, თუ სახელმწიფო მას არაყაირათიანად მოიხმარს?

ამ შემთხვევაში ბევრი ნეგატიური მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ თავს არ შეგაწყენთ, მოვიყვან მხოლოდ ერთს – თბილისის მერიამ გმირთა მოედან-თამარაშვილის დამაკავშირებელი გზის ჩაყოლებაზე საზღვარგარეთ შეძენილი ხეები და ბუჩქები დარგა, რომელთა დიდი ნაწილი დარგვისთანავე გახმა. მერიის ინფორმაციით, ამ ღონისძიებაში მილიონამდე ლარი დაიხარჯა. ნუთუ ასეთი აუცილებელი იყო ამ გეგმის განხორციელება, თანაც იმპორტული მცენარეებით? ქალაქს, რომელსაც უამრავი პრობლემა ვერ მოუგვარებია უფულობის გამო, ვაკე-საბურთალოს გზაზე დარგული იმპორტული ნარგავებით მტვერს აყრის ხალხს თვალებში.

ყაირათიანობის მაგალითი ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს. მან უნდა მოუწოდოს ბიზნესს ისეთ პროექტში არ ჩაყაროს ფული, რომელიც არც ბიზნესს და არც ხალხს არ გამოადგება.

ბიზნესმენმა ივანიშვილმა შეკვეთილში 200 მილიონ ლარად ღირებული საკონცერტო დარბაზი ააშენა და შემდეგ სახელმწიფოს აჩუქა. სახელმწიფო რა თავში იხლის ისეთ საჩუქარს, რომლის შენახვა ძვირი დაუჯდება? რა მოგებას მოუტანს ეს დარბაზი ქვეყნის ბიუჯეტს ან როდის – ჯერაც გამოუცნობია, არადა 200 მილიონით რამდენი საწარმოს გახსნა და უმუშევარი ხალხის დასაქმება შეიძლებოდა?!

ამას წინათ დიდი ზარზეიმით გვაუწყეს: განმუხურში საავადმყოფოთა კომპლექსის მშენებლობა სრულდებაო, რომელშიც მთავრობამ მილიონობით ლარი გადაიხადა. იქ, თურმე მთელი დასავლეთი იმკურნალებს და აფხაზებიც ჩავლენ სამკურნალოდ. როგორც ამბობენ, ამ საავადმყოფოს მეტადრე პოლიტიკური დატვირთვა ექნება – აფხაზთა შემორიგების თვალსაზრისით. კეთილი, მაგრამ აფხაზთა შემორიგებისთვის პოლიტიკური დიალოგის გამართვაა საჭირო და არა შემოვლითი გზებით სიარული.

საავადმყოფოს შენობა საქმის ერთი მხარეა, მაგრამ მთავარი სამედიცინო კადრებია. საინტერესოა, ვინ იმუშავებს იმ საავადმყოფოში – დასავლეთ საქართველოს საავადმყოფოებში მომუშავე ექიმები? და თუ მათი კვალიფიკაცია შესაბამისი იქნება საავადმყოფოს ახალ შენობასთან და თანამედროვე აპარატურასთან, იმ ექიმებს ვიღა ჩაანაცვლებს?

განმუხურში საავადმყოფოს ვაშენებით, ხოლო თბილისში არსებულ რესპუბლიკური საავადმყოფოს უზარმაზარ შენობას ზედაც არ ვუყურებთ. რა დააშავა ამ შენობამ, რომელიც, რომ იტყვიან, ზეზეულად ინგრევა უპატრონობის გამო? ივანიშვილმა, ნაცვლად აშენებულის რეკონსტრუქციისა, გვერდით ე.წ. **„ემერჯენსი“** ააშენა – ყოვლად უგვანო, სინთეტიკური სამშენებლო მასალებით გაჯერებული შენობა.

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ მკითხველს არ გადავღლი, ვიტყვი მხოლოდ ერთს – ეკონომიას მაშინ აქვს ფასი, როდესაც გამონთავისუფლებულ თანხებს ყაირათიანად, გონივრულად გამოიყენებ, წინააღმდეგ შემთხვევაში – ესეც ხალხისთვის თვალებში მტვრის შეყრა იქნება და მეტი არაფერი.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

სულგაყიდული მთავრობა და დაბნეული ქვეყანა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ

ხალხი და მთავრობა ერთმანეთს ჰგავს. წყლის ავზიდან ამოდებული სინჯი იგივეა, რაც ავზში ასხია. იქნებ ხალხის შეურაცხყოფა იყოს მასთან დღევანდელი მთავრობის შედარება, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუვალთ: ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, არჩევნების გზით მოვიდნენ. არჩევანში შევცდით? შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ რამდენჯერ უნდა შეგვეშალოს?!

ვინმეს არ ეგონოს, გაბრაზებული ვწერდე ამ სტრიქონებს. ჩემდა სამწუხაროდ, გაბრაზებამ კარგა ხანია, დამივიწყა. იქნებ ეს კარგიც იყოს. ადამიანებს ხშირად დამშვიდებას ურჩევენ ხოლმე, მაგრამ გაბრაზების უნარის დაკარგვა სულ სხვა რამ არის. გაბრაზებული კაცი ჯერ კიდევ არ არის უბედური, ვინაიდან შეიძლება ვითარება შეიცვალოს და ბრაზი გაუქრეს, მაგრამ, თუ ადამიანი, ვითარების უცვლელობის გამო, უარყოფითი მოვლენებისადმი რეაგირების უნარს კარგავს, მის სულში სასოწარკვეთა ისადგურებს. სასოწარკვეთას კი ხელის ჩაქნევა და ყველაფრისადმი მორჩილება მოსდევს. ღმერთმა ნუ ქნას, აქამდე მივიდეთ.

ახლა ყველას პირზე აკერია **“თავისუფლება”** და **“დემოკრატია”**. ჩვენ ამგვარი ცხოვრებისთვის სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდით. დღემდე ისიც ვერ გაგვიგია, ჯერ თავისუფლება უნდა მოგვეპოვებინა თუ ცხოვრების დემოკრატიული წესები შემოგვეღო. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ლამის ყოველი მეორე პირი ქადაგად არის ქცეული და ჭკუას გვასწავლის. ამპარტავნობამ ამოგვართვა სული. ამპარტავანთა დემოკრატია და თავისუფლება კი არის ძალადობა დემოკრატიის სახელით და აღვირახსნილობა თავისუფლების ნიღბით.

წყობილების შეცვლას მენტალიტეტის შეცვლა უნდა მოჰყვეს. ეს ცვლილება ადამიანის გონებაში ერთბაშად ვერ მოხდება, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის დაჩქარება სიმახინჯესა და გაუგებრობას იწვევს (გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის **“ჰაკი აძბა”**). ეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეძლო – უცებ აუწყო ახალ ცხოვრებას ფეხი. ეგ იმიტომ, რომ, როგორც წინასაარჩევნო კამპანიისას განაცხადა, **“პლასტელინის კაცია”**. ასეთი **“პლასტელინ-კაცი”** სჭირდებოდა პრეზიდენტად მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მარგველაშვილმა, როცა თავისი გაინაღდა, ფხა გამოაჩინა, ივანიშვილის **“პლასტელინ-კაცი”** სხვის ხელში აღმოჩნდა და ახლა სხვები ძერწავენ მისგან გროტესკულ ფიგურას.

დღეს ვაი-უშველებელია ატეხილი ფარული ჩანაწერების გამომზეურების გამო. საქმე ეხება მაღალი თანამდებობების პირთა მორალური ცხოვრების ამსახველი კადრების სააშკარაოზე გამოტანას. მე თუ მკითხავთ, არ ვარ მომხრე ასეთი მეთოდით ადამიანთა დაშანტაჟებისა, მაგრამ მაკვირვებს ის ისტერიკა, რომელიც მრავალგზის გათხოვილ-გამოთხოვილმა და ტელეეკრანებიდან უმანკო გოგო-ბიჭების გარყვნილებისკენ მომწოდებელმა ქალებმა ატეხეს. მათ გასაგონად ვამბობ: ჯანდაბამდე გზა გქონიათ და აკეთეთ ის, რასაც ცხოველური ინსტიქტები გკარნახობთ, ოღონდ ვერ გამიგია, რამ აგაფორიაქათ?! თუ გრცხვენიათ, ესე იგი, იცით, რომ სამარცხვინო საქმეს აკეთებთ, და თუ იცით, რატომ იქცევით სამარცხვინოდ ან რატომ ეწევით ასეთი საქციელის პროპაგანდას? იქნებ სირცხვილის განცდა არც გაქვთ და მხოლოდ ის გაწუხებთ, რომ დედ-მამის, ნათესავების, მეუღლისა და ხალხის მოტყუება გამოგიმზეურეს.

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კი დაგიცვათ: მრუშობა სულაც არ არისო საძრახისი საქციელი და მაგალითი მოიყვანა, – მე მდიდარი სექსი მქონდაო წარსულში, ახლაც მაქვს და მომავალშიც მექნებაო.

მდიდარი სექსიო, – რომ დაიტრაბახა, ალბათ, მრავალ კახპასთან გორაობას გულისხმობდა და არავინ იცის, მომავალში როგორ მოიქცევა ამგვარ ორგიებს ნაჩვევი კაცი. სხეული ბერდება, ავი კაცის ვნებები კი იგივე რჩება.

ცუდი აზრები მომდის, პრეზიდენტო, მაგრამ ჩემი რა ბრალია, კახპების გასამხნევებლად თქვენმა უპასუხისმგებლო და ბრიყვულმა ნათქვამმა მომგვარა ასეთი უცენზურო ფიქრები. განა შეიძლება მრუში და ოჯახის მოღალატე კაცი სახელმწიფო საქმეებში უმწიკვლო იყოს?

არ დაგიმალავთ და, ყოველივე ამის შემდეგ მეგონა, ქართველი ხალხი ალყას შემოარტყამდა თქვენს რეზიდენციას და გადადგომას გაიძულებდათ, მაგრამ ყველაფერმა დუმილით ჩაიარა და თქვენი უზნეო გამოსვლის გამო ჯერ დისკომფორტი არ შეგქმნიათ. ნუ იქნებით მშვიდად. ნუ მიიჩნევთ ხალხის დუმილს შეგუებისა და წაყრუების ნიშნად. ხალხის სული ოკეანესავით არის, დიდი ქარიშხლის წინ გატრუნული რომ გვეჩვენება.

თითქოს დრომ მოიტანა და აუცილებელი შეიქნა თვალსაზრისის შეცვლა და ღირებულებების გადაფასება. ბუნებაც ხომ ცვალებადობის კანონს ემორჩილება, მაგრამ უკეთესობიდან უარესობაში გადასვლა არაბუნებრივია. საზოგადოება ვითარდება მაშინ, როცა კარგს აუმჯობესებს და უკეთესს ხდის. ახალ თაობას ყოველთვის ეძლევა შესაძლებლობა, წინამორბედთა განვლილი გზა გააანალიზოს, შეისწავლოს და სამომავლოდ უფრო ჯანსაღად გამოიყენოს ის დადებითი მოვლენები, რომლებიც უწინ იყო. მათ აქვთ ცხოვრების წესებში ცვლილებების შეტანის უფლება, მაგრამ არის შეურყეველი და უცვლელი ცნებები, რომლებსაც ემყარება სინდისიერება, პატიოსნება, ზნეობრიობა... ქალი ვერასდროს გახდება კაცი და ვერც კაცი იქცევა ქალად.

ჩვენ ადვილად ავიტაცეთ ევროპული **“თავისუფლების”** ის ნაწილი, რომელიც ხორციელ სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ სულს კლავს. ყოველთვის გვაფრთხილებდნენ წმინდა მამები, რომ უნდა განვერიდოთ მაცდუნებელ გარემოებებს. აი, რას წერს წმინდა ეგნატე პარიზში რელიგიურ საქმეებზე ჩასულ ბერებს: **“თქვენ პარიზში ხართ, ამსოფლიური სწავლულობისა და, შეიძლება ითქვას, ბნელეთისა და ცოდვის დედაქალაქში. მაშ, ამ ცოდვისა და ბნელეთის დედაქალაქში ერიდეთ დაბნელებას, ერიდეთ ცოდვას... გაფრთხილდით, სული არ წააგოთ, ეს კი შეიძლება მოხდეს, და განა ცოტას დამართნია? გაიხსენეთ, რომ თქვენც მოგიწევთ ამა სოფლით განსვლა კუბოს კარით და წარსდგომა ღვთის სამსჯავროზე”...**

ჩვენი პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ არ მოუწევს ამა სოფლით განსვლა და ღვთის სამსჯავროზე წარდგომა. მას სამებაში რამდენიმეჯერ მოკარით თვალი, მაგრამ, ალბათ, ბუნებით ათეისტია და ხალხის თვალის ასახვევად დადის ტაძარში, თორემ გაუგებარია, როგორ უთავსებს ერთმანეთს ფსალმუნებსა და თავის მკრეხელურ აზრებს. ქვეყნის სათავეში კაცი **“ტანჯვის ქვეყნიდან”** უნდა მოვიდეს, ვინაიდან მას მილიონთა ბედი აბარია. საუბედუროდ, როგორც ვხედავთ, უმაღლეს ეშელონებში სალაღობოდ და თავიანთი მერკანტული მიზნების განსახორციელებლად მოდიან.

ბევრი რამ გაუგებარი და ამოუხსნელი ხდება ჩვენ გარშემო. ვინ იტყვის, რა კრიტერიუმით შეირჩნენ შეიარაღებული ძალების მინისტრისა და მისი მოადგილის პოსტებზე დედაკაცები? გენდერული თანასწორობის დაცვაზე ფიქრი აქ სრულიად უადგილოა. ღმერთმა მშვიდობაში გვაცხოვროს, მაგრამ მომავალში უნდა გავითვალისწინოთ – თუ ომი დაიწყო, საკითხავია, რა ცოდნა-გამოცდილებით წარმართავენ საომარ მოქმედებებს ეს ლამაზმანები. ფუი ეშმაკს და, ტყვედ რომ ჩავარდნენ, ხომ მოგვეჭრა თავი ქართველებს?!

პოლიტიკოსები ხშირად ახსენებენ **“მეგობარ ქვეყნებს”**. მაგრამ განა ოდესმე ჰყოლია საქართველოს მეგობარი ქვეყანა ან, საერთოდ, არსებობენ კი მეგობარი ქვეყნები? შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფო რაღაც ინტერესებმა გააერთიანოს, მაგრამ, თუ ეს ინტერესები უინტერესო გახდა, ადვილი მოსალოდნელია, ისინი საომარ ვითარებაში აღმოჩნდნენ.

ჩვენ მიერ შეძენილი **“მეგობრები”** ტყვიას არ გვესვრიან, ზოგჯერ გვიღიმიან კიდეც და სამათხოვროდ გაწვდილ ქუდში შეიძლება ხურდაც ჩაგვიყარონ, მაგრამ როგორ დავხუჭოთ თვალი იმაზე, რას ითხოვენ ამ მოწყალების სანაცვლოდ? მათ არ მოსწონთ ჩვენი ადათ-წესები. არ მოსწონთ, რომ ქალი ქალად მიგვაჩნია და კაცი – კაცად. არ მოსწონთ, რომ ვკრძალავთ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას. არ მოსწონთ, რომ მამათმავლობის აგიტაციის საშუალებას არ ვაძლევთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ვდევნით, ღირსეულ მოქალაქედ მაინც არ ვთვლით და ამიტომ თურმე მათ უფლებებს ვარღვევთ.

შეერთებულ შტატებთან და ევროპულ ქვეყნებთან ერთად თურქეთიც **“მეგობარი”** გაგვიხდა; მე მეშინია თურქების მეგობრობის, ვინაიდან არ მჯერა, რომ მან ხელი აიღო შავიზღვისპირეთისა და მთლიანად კავკასიის დაპყრობაზე.

ორიოდე სიტყვა ჩვენს პატარა მეზობლებზეც უნდა ვთქვათ: სომხეთი ხომ ჩვენი ისტორიული მეგობარია? ყოველ შემთხვევაში ასე გვასწავლიდნენ აქამდე. განა ამ **“მეგობარმა”** სომხეთმა არ წაგვართვა ლორე? განა აშკარად არ იბრძვის ჯავახეთის მიერთებაზე? სომხეთი არ გვდავება 365 ეკლესიას საქართველოში? სომხები არ იბრძოდნენ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ?..

ახლა მეორე მეზობელზეც ვთქვათ: განა აზერბაიჯანმა არ წაგვართვა კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონები? აზერბაიჯანელები არ გამოთქვამდნენ პრეტენზიას ბოლნის-მარნეულის რაიონებსა და რუსთავზე? როგორ გგონიათ, საქართველოში გამავალმა გაზსადენმა და ნავთობმა საბოლოოდ გადაჭრა ეს პრობლემა თუ დროებით მიაჩუმათა?

რუსეთმა ჩამოგვაჭრა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩვენ ნატოს ჯარს ვუხმობთ ჩვენს მიწაზე და ამიტომ გვსჯის რუსეთი, ნატო კი ფეხს ითრევს. ამერიკელები გვეუბნებიან: ჩვენ ვცნობთ თქვენს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ თქვენი გულისთვის რუსებს ომს ვერ გამოვუცხადებთ და თქვენი საქმე თქვენვე მოაგვარეთო. პილატემ მაცხოვრის დასჯა რომ გადაწყვიტა, ხელები დაიბანა, აქაოდა, ბრალი მე არ მიმიძღვისო...

ჩემი ღრმა რწმენით, ისე არ სურს რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული ძალების მოსვლა, რომ წინდახედული, ნიჭიერი და გონებადაუჯაბული დიპლომატების ხელში ეს შეიძლებოდა პოლიტიკური ვაჭრობის საგანი გამხდარიყო, მაგრამ ჩვენში ასეთი, სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა, გაორებული ბუნების, ცხელთავიანებისა და შიზოფრენიკების გარდა. შევარდნაძეს ჰქონდა გარკვეული გამოცდილება პოლიტიკური საქმიანობისა, მაგრამ მან ვერ შეძლო რუსეთთან მოლაპარაკება, ვინაიდან ორი ბატონის მსახური, საბოლოოდ, ორ პანღურს მიიღებს მხოლოდ. პოლიტიკური თამაშები დიდ ქვეყნებს გამოსდით, პატარა ქვეყნების თამაში კი საკუთარ კარში გატანილი ბურთით მთავრდება მუდამ. ცალკე რუსეთს ეფერებოდე და აქეთ ბუშის, ბეიკერისა და გენშერის შეკვეთებს ასრულებდე, რისი იმედი უნდა გქონდეს? რაც დრო გადის, მით უფრო გვშორდება აფხაზეთი და სამაჩაბლო. ძველები დაბერდნენ და ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომელსაც საქართველოს შემადგენლობაში არ უცხოვრია.

საქართველოში ისევ **“გოდოს”** ელიან. როცა იქნება, მოვა **“გოდო”** და ხელის ერთი დაკვრით გახსნის გორდიას ნასკვს. ნატო გვიგზავნის პამპერსებს, ჩექმებს, ჟილეტებს, კონსერვებს, იარაღს, მაგრამ თვითონ არ მოდის, – რუსეთის **“ერიდება”**.

რუსეთში გამდიდრებულმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, ქვეყნის სათავეებიდან მოეშორებინა ანტიქართული, პროამერიკული და პროდასავლური ძალები, მაგრამ ისევ უკან დააბრუნა (თუ დააბრუნებინეს) რესპუბლიკური პარტია, რომელიც არაფრით განსხვავდება **“ნაციონალური მოძრაობისგან”**. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელები მოუსავლეთისაკენ გაუყენა, რუსეთში გამდიდრებული და შემდგომ საფრანგეთის მოქალაქეობამიღებული ივანიშვილიც შუაზე გაიყო და ორკუდიანი არსება აღმოჩნდა, რომელიც ერთი კუდით რუსეთშია დაბმული, მეორეთი – დასავლეთში.

საგულისხმოა, რომ თავდაპირველად რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ყაზბეგში უმაღლეს დონეზე შედგა ორი ქვეყნის პრეზიდენტთა (გამსახურდიასა და ელცინის) შეხვედრა და მთელ რიგ საკითხებზე მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი თავდაყირა დადგა. ქართველები ვერ მორიგდნენ ერთმანეთში, ვერ გაიყვეს ქონება, უფლებები, თანამდებობები, ერთმანეთს დაერივნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ახლა ამბობენ, ყველაფერი რუსეთის ბრალიაო, – ერთმანეთს იმან გადაგვკიდაო, დაპირისპირებულ მხარეებს იარაღი დაურიგაო. თუ უცხომ ჩვენივე ხელით დაგვანგრევინა ჩვენი ქვეყანა, არაფრის პრეტენზია არ უნდა გვქონდეს. სხვას არ უნდა დავაბრალოთ ის ტრადიციული სენი, რომელიც შორეული წარსულიდან მოგვდგამს. როცა ერთმანეთი გვძულს, როცა არ შეგვიძლია საერთო ენის გამონახვა და სახელმწიფოს ინტერესების პირად სურვილებზე მაღლა დაყენება, სხვისკენ ნუ გავიშვერთ თითს. თუ შენი ქვეყნის ორგული და დამაქცევარი ხარ, სხვას რაგორ ან რატომ უნდა მოსთხოვო ერთგულება?

საბჭოთა კავშირის პერიოდში პასპორტში ეროვნება მეწერა. დამოუკიდებელი საქართველოს მიერ გაცემულ პირადობის მოწმობაში ეროვნება არ არის მითითებული. ეროვნების გასწვრივ სამი წერტილია დასმული. მამის სახელიც არ მიწერია. დანომრილი კი ვარ, მაგრამ არ ვიცი, ვინ ვარ.

პრესის ფურცლებიდან ვიგებთ, რომ საქართველოსკენ დაიძრა ებრაელ ინვესტორთა ლაშქარი, რომლის მიზანია, მცხეთა გახდეს მეორე იერუსალიმი და **“ახალი ისრაელის”** დედაქალაქი. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფაქტია, რომ საქართველოს სულიერმა მოძღვარმა, მისმა უწმინდესობამ – ილია მეორემ ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესთან შეხვედრისას განაცხადა: ქართველები და ებრაელები სისხლით მახლობლები ვართო. მიუხედავად ებრაელი ხალხისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, ებრაელთა შთამომავლად ვერ წარმომიდგენია თავი და, ქართველი თუ მართლაც ებრაელია, მირჩევნია ქუჯის წინარე ხანაში დავბრუნდე და მეგრელობას შევაფარო თავი.

რა დროება უდგას დღეს საქართველოს? უამრავი უბედურებიდან თვალში საცემია ჟამი საყოველთაო გარყვნილებისა. თურმე ქვეყნის პატრონობის თავი არ გვაქვს, მას ნაწილ-ნაწილ გვართმევენ. არც საკუთარი თავის რჩენის უნარი გაგვაჩნია – ან ვიპარავთ, ან ვმათხოვრობთ. თადლითობით თავის გატანაც ლამის ჩვეულებად გვექცა. ბაზარში ზუსტად არავინ არაფერს აგიწონის, საკუთარი სასწორი უნდა დაგქონდეს; ყველში ქვას ჩაგიდებენ, ლობიოს მარცვლებში კენჭებს ჩაგიყრიან, ყავას სოიოს გემო დაჰკრავს, რძეში წყალს გაურევენ (ამას კიდევ არა უშავს, წყალი და რძე კაცს არ ავნებს) და ა.შ.

არაფრის წარმოების თავი და სურვილი არ გვაქვს. ამ ხნის განმავლობაში 5-თერიანი ასანთის გამოშვებაც ვერ შევძელით. საკვირველია, როგორ მოვაღწიეთ აქამდე. ასეთი ქვეყნის შვილებს ახლა ევროპისკენ გზა გვეხსნება. წავალთ სხვის დაწყობილ ქვეყნებში, იქაური ყოფით მოვიხიბლებით და უკან არც კი მოვიხედავთ. თუ **“მოვიხედეთ”**, ჭკუის მასწავლებლად ჩამოვალთ და აქ დარჩენილებს ვეტყვით, პაპუასები ხართო.

ამას წინათ საომარი მოქმედებები განახლდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. აზერბაიჯანის უკან თურქეთი დგას, სომხეთს რუსეთის იმედი აქვს. ორივე ქვეყნის მაშველმა ძალებმა ყარაბაღამდე რომ მიაღწიონ, საქართველოს ტერიტორია უნდა გაიარონ. არავინ იცის, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა. არის კი მათ რიგებში ვინმე, ვინც რეალურად შეაფასებს მოსალოდნელ საფრთხეს და თავიდან აიცილებს მას? საეჭვოა, იქ ვინმეს მომავლის გონივრული განჭვრეტის თავი ჰქონდეს. ახლა, პოსტსაარჩევნოდ, აღვირახსნილობაში ერთმანეთის მამხილებელი ვიდეოფირების მოპოვება-გამომზეურებით არიან დაკავებულნი და წყალდიდობას მაშინ შეამჩნევენ, როცა წყალი შინ შეუვარდებათ.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

სულგაყიდული მთავრობა და დაბნეული ქვეყანა

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)

ხალხი მომავლის იმედით ცხოვრობს. ქვეყანას რაც უნდა მძიმე პერიოდი ჰქონდეს, მაინც ფიქრობს, რომ ცუდი უკეთესობით შეიცვლება. თუ მამებმა ვერ შეძლეს სიძნელეების დაძლევა, შვილებმა უნდა შეძლონ. ყოველ შემთხვევაში სურვილი ასეთია და ამიტომაც არის ნათქვამი: ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ ჯობდეს მამასაო. ჩვენდა სამწუხაროდ, ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ადვილად აჰყვა ცდუნებას, ვერ ამჟღავნებს იმ თვისებებს, რომლებიც ქვეყანას სამომავლოდ გამოადგება. არასწორია, ყველაფერი ძველი უვარგისად გამოაცხადო და მათგან არაფერი გამოიყენო. ამ პრინციპით რომ ეცხოვრათ თაობებს, ვერც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წაიწევდნენ და ღირებულს ვერაფერს შექმნიდნენ.

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებმა საპროტესტო მიტინგი გამართეს და საკუთარი მოთხოვნები წაუყენეს ხელმძღვანელობას. ჩვენი მიზანი არ არის მათი მოთხოვნების გაანალიზება და მტყუან-მართლის გარჩევა. უბრალოდ, იმ ვნებათაღელვასა და პროტესტის გამოხატვის კულტურაზე მსურს ორიოდე სიტყვის თქმა. უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს ტელევიზია აშუქებდა და სრულიად საქართველომ ნახა ისევ ის, რასაც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ხედავდა: აუდიტორიაში შეჭრა, ფანჯრიდან გადაძრომა, ერთმანეთის მხრებზე შედგომა, გინება, ზიზღი, მტრობა, გაწევ-გამოწევა... ეს ყველაფერი ცოდნის ისეთ ტაძარში, როგორიც უნივერსიტეტია, ძალზე დამაღონებელი იყო. მათ რომ ვხედავდი, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები მახსენდებოდა, როცა ზვიად გამსახურდია სტუდენტებს ეწვია და გარკვეულმა ნაწილმა უდიერი საქციელით გამოიჩინა თავი. მას შემდეგ ნუთუ არაფერი შეიცვალა?! ნაკლოვანებების გამოსწორება აუცილებელია, მიტინგების გამართვა – დასაშვები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს წესები და მოვალენი ვართ, ვიმოქმედოთ წესების ფარგლებში. ამას იმიტომ ვწერ, რომ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ბევრი მიტინგი ვნახე, ხშირად სისხლიც იღვრებოდა ამ მიტინგებზე და ძალიან მინდა, მომავალი თაობა პროტესტის გამოხატვისას მამებზე უკეთ გამოიყურებოდეს.

ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, ქვეყანა გარედან იმართება და ადგილობრივი მთავრობა უცხო ქვეყნების ნების გამტარებელიაო. თითქოს ბევრს არ უნდა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მაგრამ თანამდებობისა და პრივილეგიების დაკარგვის ეშინია. სიკეთეს, პატიოსნებას, ზნეობას არავინ აფინანსებს. ფულს ღალატის, გარყვნილებისა და გადაგვარებისთვის იძლევიან. სულგაყიდულ მთავრობას გაუტკბა ცოდვის პურის ჭამა და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს.

ხალხში არსებობს ერთი უცენზურო ანდაზა: ზარმაცი და უსაქმური კაცი გართობის მიზნით **"ერთ ადგილას"** მახათს იყრიდაო. ცხადია, ის კაცი დატაკი იყო და გართობის სხვა საშუალება არ ჰქონდა, თორემ მახათის ჩხვლეტისგან რა სიამოვნება უნდა მიეღო?!

აი მილიარდერი ივანიშვილი კი სხვაგვარად ერთობა. ამ წარმავალ წუთისოფელში დროის შეჩერებას ცდილობს და თავისთვის ედემის ბაღის მოწყობა გადაუწყვეტია. ოკეანიდან ამოაყვანინა ზვიგენი, ანტარქტიდიდან პინგვინი მოჰგვარეს, აფრიკიდან თუ ავსტრალიიდან – ჟირაფი, ზებრა და სხვა ჩლიქოსანი თუ ფრთოსანი (კიდევ კარგი, რომ დინოზავრები გადაშენდნენ). ივანიშვილს აკრძალული ხის ნაყოფი ადამთან ერთად კი აქვს ნაჭამი, მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთს ამისთვის არ დაუსჯია, ვინაიდან ბოროტებისა და სიკეთის შეცნობის უნარები ერთმანეთში აერია. ახლა უკვდავების ხეს ეძებს, იპოვა კიდეც და თავის მამულში გადაიტანა, მაგრამ დრო მაინც მიდის, ბატონო ბიძინა, და წასვლის ჟამი ყველასთვის ახლოვდება. იმქვეყნად კი არავის არაფერი წაუღია. ღმერთმა ქნას, იმ თქვენი მოწონებული ხესავით ორასი წელი იცოცხლოთ, მაგრამ მეორასე წლის შემდეგ ვერაფერს ჩაავლებთ ხელს, ვინაიდან წარსული სიზმარია. ყველაზე დიდი სიმდიდრე გაკეთებული სიკეთეა, ხალხისთვის სიმართლის თქმა და არა მოტყუება. იქნებ კოჰაბიტაცია გგონიათ სიკეთე და შემწყნარებლობა? **"ბილწს არ შევეკვრი ზავითა"**-ო, – ბრძანა ვაჟა-ფშაველამ. მიუტევებენ იმას, ვისაც სინანულის განცდა გააჩნია. გველი პერანგს იცვლის და არა თვისებას.

ნება თქვენია, იცხოვრეთ ისე, როგორც გაგიხარდებათ, მაგრამ ნუ მართავთ ქვეყანას შუშის კოლბიდან. ნუ გაიხადეთ მთავრობა და პარლამენტი ნაზირ-ვეზირებად. დაუთმეთ ქართველ ხალხს საქართველო და მიეცით მას თავისი ნების გამოხატვის უფლება.

არჩევნებმა ჩაიარა "ქოცების" ბრწყინვალე გამარჯვებით. ეს არჩევნები გადამწყვეტია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. დაფაცურდნენ რბილ სავარძელს მიჩვეული კარიერისტები, დაიწყეს თანამდებობებისათვის ჩალიჩი და ერთმანეთისათვის ნაგვის მიყრა, მაგრამ ხალხმა კარგად იცის, რომ, ოთახის დაგვისას ნაგავს კი არ ჩხრეკენ, ყველაფერს ერთად აგროვებენ და გარეთ ყრიან.

ხალხი ფხიზლად უნდა იყოს და მტკიცედ დაიცვას თავისი არჩევანი. კაცს როცა უჭირს, ადვილია მისი მოსყიდვა, მაგრამ ერთ ტომარა ფქვილზე და რამდენიმე კილოგრამ შაქარზე გაყიდული პრინციპი წინ უბედურებად შემოგვეყრება. ახლა, როცა საარჩევნო ყუთებთან გადვიტანეთ დიდგორის ომი, თუ ხალხმა ამჯერადაც ვერ შეძლო მთავრობაში ეროვნული ძალების მოყვანა, მაშინ, მშვიდობით, საქართველოვ!

გიორგი სიჯინავა,
მწერალი

არაა, ბიძიკო, პოლიტიკა თქვენი საქმე!..

"ნაციონალურმა მოძრაობამ" საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური გამანადგურებელი ანგარიშით: 48:0 წააგო ქართულ ოცნებასთან. ამ ამბავმა 60-იანი წლების დასაწყისი მომაგონა, როცა რომელიღაც სპორტული სფეროს ჩინოვნიკმა საქართველოში ჰოკეის დანერგვა მოიწადინა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე სპორტული სექციაც გახსნა. შეგვარჩიეს სათანადო ფიზიკური მონაცემების მქონე ახალგაზრდები, რომლებსაც ყინულის საციგურაოები მხოლოდ ფილმებში გვქონდა ნანახი, მწვრთნელად დაგვინიშნეს ყოფილი ტანმოვარჯიშე ტიტე მაისურაძე და ვარჯიშებიც დაიწყო. დაახლოები ხუთი თვის შემდეგ იმდენს კი ვახერხებდით, რომ ციგურებიდან არ ჩამოვვარდნილიყავით და ვფიქრობდით რომ ჰოკეის თამაშს შეეძლებდით, მაგრამ, თურმე, არ გვცოდნია რა იყო ნამდვილი ჰოკეის თამაში.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ზამთარში, სპორტულ შეკრებაზე როცა ვიმყოფებოდით ბაკურიანში, საქართველოში რუსეთის ერთ-ერთი ქარხნის ჰოკეისტების გუნდი ჩამოვიდა დასასვენებლად და ჩვენმა მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ მათთან ტურნირი მოეწყო. გავედით მოედანზე, მაგრამ ჩვენ დღე დაგვადგა, მტრისას! ვიდრე იმაზე ვფიქრობდით, რომ არ წავქცეულიყავით, რუსი ჰოკეისტები ჭინკებივით დაქროდნენ ჩვენს გარშემო და შაიბას შაიბაზე იტანდნენ. როცა ანგარიში 48:0 გახდა სტუმრების სასარგებლოდ, ეტყობა სტუმრებს შევეცოდეთ და შაიბის ერთმანეთისათვის გადაცემით გაერთვნენ. როცა შეხვედრის დრო ამოიწურა, ჩვენთან ტიტე მაისურაძე მოვიდა და რაჭული პრონონსით, ღაღანა ხმით გვითხრა:

– რა ვქნა ბოშო, არ არის ჰოკეი ჩვენი საქმე, რადგან ჩვენთან ყინვას მხოლოდ რამდენიმე დღე თუ იჭერს ხოლმე. ნადდი ჰოკეისტი რომ გახდე, ბავშვობიდან უნდა ვარჯიშობდე და კლიმატიც ხელს უნდა გიწყობდეს. კი ვუთხარი ეს ყველაფერი იქ, ზევით, სპორტის ბოსებს, მაგრამ ვინ დაგიჯერა... ამიტომ, დაანებეთ, ბოვშვებო, ჰოკეიზე ოცნებას თავი და წაით ახლა სახლებში, – დაგვემშვიდობა და მერე ეს ღაღანა კაცი აღარ გვინახავს.

დაახლოებით ასე დაემართათ ნაციონალებს – ამგვარი დამარცხების შემდეგ, მაგათ რომ ნამუსი ჰქონდეთ, პოლიტიკას თავს დაანებებდნენ და შინ წავიდოდნენ, მაგრამ ეგენი იმდენად უტიფარი არსებები არიან, რომ კიდევ ხშირად აგვიწეწავენ ნერვებს, ოღონდ, არა ძველებურ მასშტაბებში. ამის დასტური გახლავთ თუნდაც მთავარი მახინჯის გიგა ბოკერიას არჩევნებისშემდგომი განცხადება: **"თუ არჩევნების გაუქმებასთან დაკავშირებით ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ჩვენ მივმართავთ დემოკრატიული პროტესტის ყველა ზომას"**-ო.

მისი თქმით, მათ ინტერესშია, ყველაფერი იყოს მშვიდობიანად. **"ეს არის ჩვენი პოზიცია თავიდანვე და არა ის უბინძურესი კამპანია, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ინტერესში იყო გადატრიალება ან არეულობა. ეს ყველაფერი ემსახურებოდა ამომრჩევლის დაშინებას და იმ შთაბეჭდილების შექმნას, რომ ძალიან ცუდად არის ყველაფერი ქვეყანაში, მაგრამ არეულობა მაინც არ უნდა გინდოდეთ ხალხო. ამ ბინძურ მეთოდს მიმართა ივანიშვილმა. ჩვენი ამოცანა არის მომავალში კვლავ გვქონდეს ის ვითარება, რომ იმ ტიპის ქმედებებითაც ვერ შეძლებენ არჩევნების გაყალბებას, როგორც დღეს მოხდა და ამ ამოცანას აუცილებლად მივაღწევთ"**, – განაცხადა ბოკერიამ.

არც იმ ხრიკმა გაჭრა, ბოკერიამ რომ განაცხადა: **"მარნეულის საარჩევნო ოლქში ერთ-ერთ უბანზე 400 გაყალბებული ბიულეტენი ოცნებისტებმა ურნაში ჩაყარეს"**-ო. მას მსწრაფლ უპასუხა **"საქართველოს რკინიგზის"** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა დაჩი ცაგურიამ სოციალურ ქსელში: **"ტყუილებიც როგორ გაგიბანძდათ, ნაცებო... 400 ხმა ჩაყარეს მარნეულის ოთხმოცდამეოთხე უბანზეო – ირწმუნებოდით, გაიხსნა ყუთი და შედეგი: 380 მოვიდა, აქედან "ოცნება" 288, ნაცი 68, 20 ბათილი, 400 როგორ ჩაყარა? ან სად ჩაიყარა? ფარული წანაწერების დიდოსტატებო, ეგ ილეთები აღარ ჭრის, თქვენი სპექტაკლები დაუდგით ბებიათქვენებს. აბა ხელი მოიფათურეთ, სადმე ხომ არ გაქვთ ეგ ოთხასი ბიულეტენი"**, – შეუთვალა ცაგურიამ ნირწამხდარ **"ნაციონალებს"**.

არჩევნების უტიფრად გამყალბებელი ნაცები რომ გაყალბებას სხვას დააბრალებენ, იქ ზეცა უნდა დაიმხოს, მაგრამ ნაცები უტიფრები რომ არიან, ეს უკვე ყველასათვის ნათელია, ენას კი ძვალი არა აქვს. იწიოკებენ ახლა ნაცები იმის იმედით, რომ იქნებ **"ქართულ ოცნებას"** რაიმე მაინც დავცინცლოთო და მერე მიყუჩდებიან.

კარგად იცის ცრუქაქუნა სააკიანცმა, რომ მას არც პოლიტიკური და არც ადამიანური მომავალი არ გააჩნია და დაუსაბუთებელი განცხადებებით ცდილობს პოზიციების შენარჩუნებას. **"მე არ შევეგუები და არ ვაღიარებ ამ უკანონობის და გაყალბების შედეგს. ამას ვამბობ სრული პატივისცემით ივანიშვილის პარტიის მხარდამჭერების მიმართ. მე პატივს ვცემ თქვენს არჩევანს, მაგრამ თქვენმა უმეტესობამაც ხომ იცის, რომ ამ არჩევნებზე მასობრივი გაყალბებები და მანიპულაციები იყო. ამიტომ საქართველოს შემდგომი განვითარებისა და დემოკრატიის წინსვლისთვის, ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რათა საქართველო ისევ დავაბრუნოთ დემოკრატიული, ევროპული განვითარების გზაზე. ჩვენ ყველამ ერთად უნდა მივაღწიოთ რაც შეიძლება სწრაფად პატიოსანი არჩევნების ჩატარებას და პატიოსნად მოვიყვანოთ ნორმალური მთავრობა საქართველოში. მე ძალიან დიდ საქმეებში ვარ ჩართული უზარმაზარ ქვეყანაში, უკრაინაში, მაგრამ არ ვაპირებ თითოეული თქვენგანის განსაცდელში მიტოვებას. მე დავუდგები გვერდში ჩემს ხალხს და აუცილებლად დავუჭერ მხარს ჩემს თანამებრძოლებს"**, – განაცხადა სააკაშვილმა.

არა და, სად მოძალადე და სად პოლიტიკა – როდის იყო, რომ ნაცებს პოლიტიკით მოემკათ რაიმე მოსავალი – მათი ტვინი მუდამ გადატრიალებას, რევოლუციასა და წართმევა-წაგლეჯვას ხარშავდა, თუმცა, კურდღელი სააკიანცის თავკაცობით, ნაცებს არც რევოლუციის მოწყობის თავი ჰქონდათ, რადგან რევოლუცია თავგანწირვას მოითხოვს, ხოლო როგორი გულადი და თავგანწირულია სააკიანცი, მთელმა მსოფლიომ იხილა 2008 წლის გორის მოვლენებისას. მათ მხოლოდ შევარდნაძის მიერ **"ვარდების რევოლუციად"** მონათლულ აფერაში **"გაიმარჯვეს"** და მაშინვე ირწმუნეს, რომ რეალურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ და არა თაღლითთა ბრბოს, როგორადაც მათ დღეს იცნობს არა მხოლოდ საქართველო! სწორედ ეს გახლდათ მათი უდიდესი შეცდომა, რაც ძვირად დაუჯდათ არა მათ, არამედ სრულიად საქართველოს.

ფსიქოლოგიაში მყარადაა დამკვიდრებული ის კონცეფცია, რომ ყველაზე სასტიკი და ულმობელი სწორედ მხდალი ადამიანია. ამას დაემატა სააკიანცის პათოლოგიური გადახრები და მივიღეთ მახინჯი იმბეცილების ბრბო, რომელთაც უსამართლობის ტყვიის ჩაფხუტი ჩამოაფხატეს თავზე სრულიად საქართველოს და უმდიდრესი ისტორიული ტრადიციების მქონე ქვეყნის საბოლოოდ განადგურება განიზრახეს! ამ ჩანაფიქრის განხორციელების მთავარი მოდელი გახლდათ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადაბარგება, რომლის პირველ ეტაპად დაიგეგმა საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რაც განხორციელდა კიდეც. ადრე **"ოცნებას"** არ გააჩნდა კონსტიტუციური უმრავლესობა, რათა პარლამენტი თბილისში დაებრუნებინათ, ახლა კი ყველაფერი რიგზე იქნება, რაც აცოფებთ **"ნაცებს"**, რადგან დედაქალაქის ქუთაისში გადატანით და აღმოსავლეთ საქართველოს სომხებისათვის მოსუფთავების სანაცვლოდ მათ დიდი ქრთამი აიღეს სომხებისაგან და ახლა ამ თანხის უკან დაბრუნება მოუწევთ. გაიხსენეთ, როგორ იხვეწებოდა სააკიანცი: **"ოღონდ პარლამენტს თბილისში ნუ დააბრუნებთ და რაც გინდათ ის გააკეთეთო"**!

სამწუხაროა, რომ ეს საფრთხე არამც თუ ყველა ქუთაისელმა, არამედ ყველა ქართველმაც კი ვერ განჭვრიტა და კვლავაც ეწინააღმდეგება პარლამენტის თბილისში დაბრუნებას. იქნებ სწორედ ამიტომაც გვიწოდებენ სომხები **"ტუტუც ვრაცებს"** (**"ტუტუც ქართველებს"**)?

ჩვენ, ჭეშმარიტმა ქართველებმა, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, იმდენად გავიხარეთ, რომ არც კი გაგვჭენია თანაგრძნობა პოლიტიკურად განადგურებული ნაცების მიმართ. ჩასვრილი **"ნაციონალი"** პოლიტიკანებისათვის მხოლოდ იმის თქმის სურვილი მოგვეძალა: **"წადით, ნაცო ბიძიკოებო, სახლებში და ოჯახებს მიხედეთ, არაა პოლიტიკა თქვენი საქმე"**!

ყველაზე მეტად კი იმან გაგვახარა, რომ ნაციონალებს საბოლოდ შეაქცია ზურგი ჩვენმა სათაყვანებელმა სამეგრელომ. **„დღეს საბოლოოდ დაიმსხვრა მითი და ლეგენდები ჩემი სამეგრელოს „ნაცობის" შესახებ, რასაც წლობით თხზავდნენ მავანნი...", „მეამაყება ჩემი სამარგალო, ჩემი კოლხეთი. ღირსეულად დაიბრუნა თავისი ოქროს საწმისი'– თავისუფლება!"** – ამის შესახებ facebook-ზე ჟურნალისტმა ნანა გაგუამ დაწერა.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს მოძალადეებზე დამაჯერებელ გამარჯვებას!

კვლავაც გამარჯვების გზით გვევლოს!

როლანდ ჯალაღანია,
"აიას" და "ფაზისის" აკადემიების წევრი

ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲑᲔᲑᲝᲡ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲠᲔᲙᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲫᲚᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

„არც ერთმა შვილმა არ იცოდა, როგორ გაჰქონდა თავი ბებოს, არც ერთ შვილიშვილს არ დაურეკავს და მადლობა არ გადაუხდია გამოგზავნილი ძღვენისთვის...“

20 წელი იცხოვრა მარიამ ბებომ სიმარტოვეში. მარტოობა ისე რთული ასატანი კიდევ არ იყო, როგორც იმაზე ფიქრი, რას შვრებიან ქალაქში წასული შვილები, შვილიშვილები, როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ და ულხინთ... ასეთი ფიქრები დილიდან საღამომდე თან დაჰყვებოდნენ ერთგული ჯოხივით და თუ წამით მიავიწყდებოდა, მაშინაც თავს უხერხულად გრძნობდა...

20 წელი მხოლოდ ერთი თვე, წელიწადში ერთი თვე ახელდა თვალებს მისი სახლი, როცა შვილები და შვილიშვილები გასართობად ჩადიოდნენ სოფელში. სხვა დროს ზამთრის ძილით ეძინა თითქოს...

„კი, ვიცი არაფერი გაკლიათ, მაგრამ ჩემი ხელით გაკეთებულს ლოცვის ძალა აქვს და ამიტომ გიგზავნით, ამ პატარა ძღვენსო“, ასე იწყებოდა ყველა წერილი, რომელსაც საგულდაგულოდ მიაკერებდა ქალაქისკენ გაგზავნილ ჩანთის შიდა პირს.

რძლებს ერთი უხერხული მომენტი აწუხებდათ, სოფლიდან გამოგზავნილი ჩანთის რაღაცნაირი სუნი. ერთმა თქვა, სოფლისააო, მეორემ – გაურეცხავი ნაჭრის სუნიაო, მესამემ ცხვირზე ხელი წაიჭირა და მოვაშოროთ დროზეო... ამოალაგებდნენ ღამეებნაფიქრ და ნაწვალებ ბებოს ძღვენს, შეახვევდნენ ჩანთას და მაშინვე ეზოს კუთხეში დადგმული ურნისკენ გააქანებდნენ...

როგორც წესი, ასეთ ჩანთებს ბებოს კალთის სუნი აქვს, მსხლით და ყურძნის მტევნებით სავსე კალთის...

არც ერთმა შვილმა არ იცოდა, როგორ გაჰქონდა თავი ბებოს, არც ერთ შვილიშვილს არ დაურეკავს და მადლობა არ გადაუხდია უკვე მეათასედ გამოგზავნილი ძღვენისთვის... თუმცა სოფლის მჭადსა და ყველზე, ყოველ ჯერზე ეპატიჟებოდნენ ქალაქელ მეგობრებს და სოფლის ღვინოსაც სიამოვნებით გეახლებოდნენ...

გულის ტკივილი დასჩემდა ბებოს ბოლო დროს. მეზობლებმა ექიმთან მიიყვანეს. ექიმმა მეზობელს თვალი ჩაუკრა და ბებოს მოუბრუნდა, ქალბატონო მარიამ, უბრალო ჭვალია და მალე გაგივლით, თქვენ ეს წამლები დალიეთო ოღონდ და ხელში გამოწერილი წამლების რეცეპტი მიაწოდა. როცა საავადმყოფოს ტოვებდნენ, მარტო მეზობელმა იცოდა, რომ მარიამ ბებოს ხელში უბრალო ვიტამინების ჩამონათვალი ეჭირა.

მოვკვდები აბა, რა იქნება აწი, ცას ხომ არ გამოვეკერებიო, – ასე მისწერა ქალაქად მეორე დღეს, – მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს, თქვენს უნახავად ნუ წამიყვანს უფალიო. მინდა თქვენს ხელში დავლიო სული, ბოლო წუთებში თქვენ გხედავდეთო...

3 თვე ელოდა ბებო ჭიშკრის გაღებას... რამდენჯერაც მურა დაიყეფებდა, გული იმდენჯერ უჩქარდებოდა, – არა, ახლა მოვლენ და არა – ახლაო... მაგრამ ზამთარი მოვიდა მხოლოდ მის კარებთან, მის ეზოში, გაუძნელდა სიარულიც კი, მოძრაობა, ბოლოს სუნთქვაც...

შობის დამეს მეზობელმა მეზობელს გადასძახა ტირილით, მიუბარებია მარიამის სული უფალს წუხელო...

მართლა გულით ტიროდნენ და წუხდნენ მეზობლები, რომელთა იმედი მარიამსაც გულით ჰქონდა სიცოცხლეში...

უკვალოდ არასოდეს ქრებიან კეთილი ადამიანები... სანამ ქალაქიდან ჩამოვიდოდნენ შვილები და შვილისშვილები, მეზობლებმა გარდაცვლილს წესი აუგეს და მარიამ ბებო იმ ოთახში დაასვენეს, სადაც სიცოცხლეში იშვიათად შედიოდა, რადგან მეორე სართულზე ასვლა აღარ შეეძლო.

ტიროდნენ შვილებიც, ერთმა შვილიშვილმა მღვდელიც მოიყვანა და ლოცვები წაუკითხა გარდაცვლილს...

მიაბარეს მიწას ბებო. ახლა ვერ გადაეწყვიტათ სახლი ვისთვის მიებარებინათ, გასაღები – უფრო სწორად...

იმ დამეს საშინლად წვიმდა... სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, თითქოს ყველაფერი ერთად დაძველდა...

არაფერს ჰქონდა ძველებური სახე, შვილები დასევდიანდნენ, დედა აკლდა ყველა ოთახს, სახლს, ჰაერსაც კი... და შეეშინდათ ასეთი სიცარიელის...

ჯერ ერთმა ჩაალაგა ბარგი მანქანაში, მერე – მეორემ, მესამემ 2 დღე მოიცადა და ბოლოს მანაც გადაწყვიტა ქალაქში დაბრუნება, ყველა ოთახის კარი ჩაკეტა... ბებოს ოთახს რომ მიადგა, ლოგინის ქვეშ პატარა ჩანთა შენიშნა, სწორედ ისეთი, ბებო რომ უგზავნიდათ ქალაქში...

გამოაჩოჩა და მაშინვე გახსნა – ჩვეულებრივი ძღვენი იყო, ქალაქში გასატანებლად გამზადებული, ყველაფერი ამოალაგა და კიდევ რაღაცას დაუწყო ძებნა... იცოდა, რომ წერილი აუცილებლად იქნებოდა სადმე გამოკერებული... ნახა კიდეც.

სანამ გახსნიდა, სევდა შემოაწვა და გულში ჩაიკრა ქაღალდის დასტა... დიდხანს იდგა ასე, მერე გახსნა... წერილში ათასჯერ მაინც იყო გამეორებული ერთი სიტყვა: **„მადლობა“**. სამი გვერდის ბოლოს კი რამდენიმე წინადადება ეწერა: **„შვილებო, ეს წერილი სათითაოდ წაუკითხეთ მეზობლებს, რომლებიც ჩემი შვილები იყვნენ 20 წლის განმავლობაში, მაღაზიის მეპატრონე გივიას, რომელიც ყოველ ჯერზე მჩუქნიდა ჩანთას, რომელიც ქალაქში უნდა გამომეგზავნა თქვენთვის. მურას, რომელიც წლების განმავლობაში ჩემი ერთადერთი ოჯახის წევრი იყო... და ამ სახლის გასაღები კარგად შეინახეთ, რათა სიბერეში თქვენც ჩემსავით გამოგადგეთ... ეს ბოლო ძღვენია ჩემგან... მეტი ჩანთის გადაგდება აღარ მოგიწევთ, შვილო“...**

ჰოდა იმას ვამბობდი, რომ ძალიან წვიმდა... სახლის ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა... გაბზარულ კედლებს ჰგავდა მაშინ უმცროსი შვილის სხეული, სინდისის წვეთები რომ წვეთავდა...

ᲐᲜᲐ ᲚᲐᲨᲮᲔᲚᲘ-ᲝᲜᲘᲐᲜᲘ

„ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ, ᲣᲙᲐᲜᲐᲚᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲡᲘᲕᲓᲐᲗ ᲣᲡᲐᲥᲛᲝᲓ ᲯᲓᲝᲛᲘᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ?!“

„პოლიტიკოსები, რომლებსაც ამოუწურავი ძალაუფლება გააჩნიათ, ბავშვებივით არიან. მე, მათ ვირუსებად აღვიქვამ. ისინი, ვირუსებივით ანადგურებენ ყველაფერს და ვიდრე ყველაფერს არ შეჭამენ, არ მოისვენებენ“, – ამბობდა მუსიკოსი რიჩარდ ბონა, რომელიც ერთ-ერთ თავყრილობაზე ინგლისის დედოფალს, ელისაბედ მეორეს, შემოხვევით გადაეყარა და ინსტიქტურად, პირდაპირ ჰკითხა: **„უკაცრავად, უკანალი ხომ არ გაგისივდათ უსაქმოდ ჯდომით, ან გული ხომ არ გერევათ, ხალხის ფულების ჭამით“?** მართალია, ბატონმა ბონამ ზუსტად 2 წამში სახეზე ალმური იგრძნო, როცა დედოფალმა თვალი თვალში გაუყარა და უხერხულად გაუღიმა, მაგრამ ეს ფრაზა, რიჩარდ ბონას ბიოგრაფიაში სამუდამოდ ჩაიწერა.

ვფიქრობდი, ვინმე ყოფილი ან ახალბედა პოლიტიკოს-პარლამენტარი, რომ შემხვედროდა, რას ვეტყოდი და მაშინ ამომიტივტივდა თავში, ცნობილი მუსიკოსის ეს ამბავი. საქმე ის არის, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა ყველაფერი უკვე გადაჭამეს, მაგრამ არ ჩერდებიან... (ალბათ ევროპელი პოლიტიკოსებისგან, ამით განვსხვავდებით!?). ჭამის პროცესში არ სცალიათ, თორემ რაიმეს მაინც ხომ გვეტყოდნენ, რა გველის უახლოესი 4 წლის განმავლობაში. ის, ზოგადი ფრაზები, რასაც წინასაარჩევნოდ წამოისროდნენ, რომ არა დამაკმაყოფილებელია, იმ „ურწმუნო“ მოსახლეობის ნახევარიდანაც ჩანს, ვინც არჩევნებზე არ მივიდა. ამ დროს გაახსენდა ხელისუფლებას ევროპა და განაცხადა, რომ ევროპის ქვეყნებში აქტივობა ყოველთვის დაბალია და ეს საგანგაშო არ არისო.

ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება და პოლიტიკოსები, საკუთარ მოსახლეობას ძალიან ცუდად იცნობენ. და, თუკი არ იცი, რეალურად რა ხდება ქვეყანაში, როგორღა გამოასწორებ რაიმეს.

შეიძლება ვცდები, მაგრამ რა საგანგაშო საკითხია, დავა კონსტიტუციურ უმრავლესობაზე?! უკვე განვვლეთ კოჰაბიტირებული 4 წელი და რა მივიღეთ? ახლა, იგივე იქნება, ცალ-ცალკე, თუ თითო-თითო, რას მოგვცემს, თუკი არ ვიცით რა ტიპის ქვეყნად გვინდა ჩამოვყალიბდეთ? თუკი, არავინ ლაპარაკობს იმ სისტემის დანგრევაზე, რომელიც ქვეყანას ანგრევს. თუკი, არავინ ფიქრობს იმ ბარიერების მოშლაზე, რაც ცივილურ სამყაროს გვაშორებს.

გული მწყდება, რომ ვხედავ უამრავ პოლიტიკოსს, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ მოიგოს არჩევნები. რაც ყველას აკლია არის ნება, რომ ეს ყველაფერი გაწირონ იდეისათვის. რაც ყველას აკლია, ეს არის სურვილი, მოუსმინოს საკუთარ მოსახლეობას. შეცვალოს ხალხთან დამოკიდებულება. რაც ყველას აკლია, ეს არის კომპეტენცია, საკუთარ თავზე აიღოს გადაწყვეტილება და პასუხისმგებლობა.

რის გამოც გული მწყდება, ეს არის, რომ არ არსებობს პოლიტიკური კულტურა. რომ, არჩევნებით არ ისაზღვრება ქვეყნის სწორი სტრატეგია. ადამიანები არჩევნებზე, კვლავ, ვიღაცის ზიზღის წინააღმდეგ აძლევენ ხმას და 21-ე საუკუნეშიც კი, არ გვეძლევა შანსი, გავაკეთოთ რეალურად სრულფასოვანი არჩევანი.

ჩემს ქვეყანაში, ყველგან და ყველაფერში, კონკურენტუნარო გარემოა და მოთხოვნა ხარისხზე საერთოდ არ არის... არასწორი ხალხი არასწორ ადგილზე და ქვეყანა წინ ვერ მიდის. მთელი პრობლემები, იმაზეა დაყვანილი **„ქოცი“** ხარ თუ **„ნაცი“**...

საერთოდ, ვფიქრობ, რომ დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ნაციონალიზმსა და გლობალიზაციაზე, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ ყოფით დონეზე ყალიბდება ყველა ის ჩვევა, რომელიც ხელს უშლის ლიბერალური ფასეულობების დამკვიდრებას, ადამიანების რეალურ თავისუფლებას, დემოკრატიას. და, მოგვწონს ეს თუ არა, ამით არაფერი იცვლება.

რაიმე არსებითად, რომ შეიცვალოს, ქვეყანას რეალური ლიდერები სჭირდება. ჩვენ კი, კვლავ ინერციით ვცხოვრობთ. არაერთი ადამიანი ვიცი, რომლის გამომეტყველება, განწყობა და დამოკიდებულებები, საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით იცვლება. და, მსგავსი ადამიანები პარლამენტში ხვდებიან, ქვეყნის ბედს იბარებენ.

თქვენ ალბათ იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: ძლიერი სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა, ყველა თავისი მოქალაქისთვის სამართლიანი სახელმწიფოა. ზნეობა კი, მართალია ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ის, ასევე აუცილებელია სახელმწიფოსთვისაც. უღირსი და უზნეო სახელმწიფო, ვერ გახდება, ვერც სამართლიანი და ვერც ძლიერი.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲡᲐᲘᲢᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.ᲑᲔ

ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲡᲐᲕᲚᲔᲨ ᲡᲥᲘᲥ

ეძღვნება პირველ ქართველ მფრინავს ბესარიონ ქებურიას

ბესარიონ სავლეშ სქიქ,
ცას ისხუნუ ფურინუა,
ეიფილეშ ცარიანტას,
მუკი-მუკი ტურინუა,
ვარშავა დო ქართიშ ცას
სამარგალოს, კიწიას
მუნაფას ფეცუნდ დო
კონჯუდუნდ მუშ დიხას.
ბესა ორე საქორთუოშ.
აკა კოჩი მაფურინჯე.
ოცქვაფური ბრელ უდ, მარა
ვამკოურე მითინ მინჯე.
ამერიკას ხანდენდ თურმე,
მენცარ კოჩი, ქორთუშ სქუა,
თის მეტი პატ იცეს.
მარგალც ნოჯგვე, ჯოღრ კუა.

* * *

დირჩინუა თქვან ნინაქ,
ბირაწკმა ართო,
გვალო ვადოდვილუნთ, და
ჩაბარითია ჯართო,
თქვანი ნინა იხვარითია,
კაბა დო ღართო
ჩქნი უჯეგუშ რენია,
შარა გეძნია ფართო.
თქვანი ნინა მიმოჩნანია
კოღონა, დო ჭანდო.
ჩქნი ირნერო უჯგუნია,
სქვამი რე, დო სანდო
თქვანი ნინა ალაპუნანია,
კვაზიმოდაშ ლანდო.
ჩქ ლანდის მიდმამღანთ, დო
ღურუშა მოჩქვანთო?
ჩქნი დიდი ისტორიას
ირო ჩუანთო?
თქვა ღვინც ნოქერუნთ, დო
ჩქ თხოლოს ბჩანთო.
ცხორცხალო ფთხორუნთ, დო
ნახვერც მინმორღვანთო.?
მარსელიოზაშ ოწოხლე,
აბა ულა იბიბრით,
თქვან გაძიცალ ვორეთო,
შურ მიმარგნა კიბირით,
რუსეფიშ ხენწყუალათ
სამარგალო დირიკით,
აკონწყვით კოლხეთ, მარა,
თქვა, თეთ მუ მიგით?
შარა ნაშარუს, დო
წყარ ხოლო ნაწყარც,
მალას ბძირ წყარც მეუღდათ, დო
ჩქ ბთხულენდათ ბაწარც,
კოლხიშ ჯინჯი ვაგშალ,
დიხას ენოშქ ნწარას
ჭკვერას მიქცით, გიჩქდან
ვეიაუნათ ჭარას.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ ᲢᲝᲛᲑᲐ

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ ᲥᲐᲠᲘ ᲥᲠᲘᲡ, ᲥᲐᲠᲘ ᲥᲠᲘᲡ, ᲥᲐᲠᲘ ᲥᲠᲘᲡ...

ქარ ირქენს ქარ ირქენს, ქარ ირქენს,
ქარ ირქენს,
ფურფელიშ რე ბორულ ბორუა,
დირიკუნს ჯაშ რგუას, ჯაშ რიგენს...
სო კვანწუქ, სო მიგოგორუა?
მუჭომს ჭვინს, მუჭომს თუნს, მუჭომს
თუნს,
ვავძირუნქ დღამუშის მა სქან დუს.
სქან სახე ვამორცხუნ, ვგინურე,
ირ ბორჯის, ირ დიხას, ირ ურე.
კონ ცირუნს ნირსიშფერს ცა
ფირქენს...
ქარ ირქენ, ქარ ირქენს, ქარ ირქენს!..

თარგმნა ᲖᲣᲠᲐᲑ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲛ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურგალი



ბატონო **„სასიქადულო"** მეცნიერებათა აკადემიავ, ჩემს დასმულ კითხვაზე, რომ ვერ მიპასუხებდით ადრეც ვიცოდი, მაგრამ აზრის გამოთქმაც რომ არ გაბედეთ, ნეტა ასე რამ დაგამუნჯათ? თუ მითვალთვალებთ ჭუჭრუტანიდან, აბა კიდევ რომელ საიდუმლოს გახსნისო? გეუბნებით, რომ მე ვიძლევი მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც უკვე შესაძლებელია გაუდერდეს, მეტს ვერ მიიღებთ, ნუ ელოდებით. დაკმაყოფილდით და იმტვრიეთ თავი იმაზე რასაც ვწერ, და კეთილი ინებეთ და ქართველებს დაგვიბრუნეთ ქართველობა!!!

ჩვენს საღვთო წერილში იესო ქრისტეს სამი პროფესია აქვს. **დურგალი, მებადური და ექიმი**. ეს სახელები იმ თანრიგით დავალაგე, როგორც ეს ბიბლიაშია მოცემული. (შეგახსენებთ, რომ ეზოთრიაში მისი სიმბოლო არის თევზი). გავარჩიოთ ეს პროფესიები სათითაოდ და რატომ შეერქვა მას ეს სახელები კონკრეტულად.

პირველი – **დურგალი,** მან ეს პროფესია ბავშვობაშივე შთამომავლობით მიიღო – მამისგან. მეორე – **მებადური,** ეს უკვე შეძენილი არს ცხოვრებიდან გამომდინარე. ხოლო მესამე – **ექიმი** – არის დავალება ღმრთისეული და ვალდებულება ხალხის წინაშე.

მებადური – ბიბლიაში წყალი არის ცოდნის სამყარო და რაც უფრო ღრმაა ზღვა ან ჭა, მით უფრო დიდი და საიდუმლოა ღვთის ცოდნა.

ქრისტეს სინონიმი – **თევზი**, იმას ნიშნავს, რომ როგორც თევზი დაცურავს და იცის ზღვის უფსკრული და წყალქვეშა დინებები. ისევე იცისო ქრისტემ ეს საკითხი (ცოდნა). ხოლო **მებადური** კი იმყოფება უკვე წყლის ზემოთ და თევზთა მჭერს ნიშნავს. ე.ი. თუ მებადური ამ წყლის (ცოდნის) ზევით იმყოფება და წყალზე დადის თანაც, ნიშნავს იმას რომ ამ კაცმა უფრო მეტი იცის ვიდრე ამ წყლის ქვემოთ იმალებაო. და თუ ის თევზმჭერად არის დაფიქსირებული ნიშნავს, რომ იესომ თანდათან შეიძინა ეგზოთერული და ეზოთერული ცოდნაც (ის რაც წყლის ქვეშაა (დამალული) და ის რაც წყლის ზემოთაა (ეგზოთერული ცოდნა))... გაიხსენეთ თუ როგორ კრებს იესო მოწაფეებს და ასწავლის მათ თევზაობას.

ექიმი – ეს არის სავალდებულო პროფესია, რაც ადამიანთა სულიერ მკურნალს ნიშნავს და არა ფიზიკურ მკურნალობას (თუმცა ბიბლიაში ადამიანები მხოლოდ ფიზიკურ მკურნალს ამჩნევენ). რა თქმა უნდა, სულიერ მკურნალობაში სულით დაავადებულთა მკურნალობა იგულისხმება და უფლისკენ მათ მობრუნებას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ავადმყოფთა განსაკურნებელ ადგილს ლაზ-ა-რე-თ ჰქვია. (ეს სულიერად სამკურნალოთა ადგილია), მაგრამ ჩვენ ხომ ყველაფერი მატერიალურ ხარისხში უნდა გადავიტანოთ... ეს ორი სიტყვა ხომ გასაგებია, მებადური და მეთევზე. მებადური (ბადის მსროლელი) და ექიმი ხომ ექიმია და მკურნალი. მაგრამ პირველი პროფესია, რომელიც მას ბავშვობიდან დაჰყვა თან – დურგალია, რომელიც სრულიად არ შეესაბამება პროფესიის სახელწოდებას. რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა? სიტყვა დურგალი ხომ ნიშნავს ხეზე მომუშავე პიროვნებას და ამ სიტყვაში **„ხე"** არანაირად არ ფიქსირდება. გადავამოწმე თუ როგორ გამოითქმის ეს სიტყვა უცხო ენებზე, მაგრამ აზრიანი შესაბამისობა ვერსად ვნახე. საქმეც ის გახლავთ, რომ ამ სიტყვაში ეზოთერული შინაარსია ჩადებული, პრინციპში რაზედაც არის აწყობილი ბიბლიის თხრობა. გამოვიკვლიე რა ყველა ენაზე ეს სიტყვა, ვნახე, რომ მხოლოდ სამ ენაში აღმოჩნდა ეზოთერული შინაარსის სიტყვები. ეს არის ქართული – დურგალი, სლავური (რუს) – პლოტნიკ და ბერძნული – ??? (ამაზე ბოლოს მოგახსენებთ).

პლოტნიკ – არც ამ სიტყვაშია ხის აღმნიშვნელი თუნდაც მარცვალი, რადგან ხე რუსულად არის – **დერევო**. რას ნიშნავს ასეთი შეუსაბამისობები სამივე სიტყვაში? ამ სიტყვის ძირი არის **"პლოტ"** რაც რუსულში ნიშნავს ადამიანის ფიზიკურ არსს. ამის ახსნა შემდეგნაირი სულიერი ინტერპრეტაციით ხდება – რადგან იმ დროს ღმერთისა არავის არ ესმოდა მან გადაწყვიტა ჩასახლებულიყო ადამიანში, მის სხეულში (დროებით საზიარო ჭურჭელში). საიდანაც ის მისივე სახით (ხატით) მოევლინა კაცობრიობას და მათივე ენით შეეცადა გაეღვიძებინდა რწმენა მისდამი და ამ პროფილში გარდასახულს გადაერჩინა უფსკრულისკენ მიმავალი მსოფლიო. და თუ ღმერთი ადამიანის სხეულში, კონკრეტულად იესოს სხეულში ჩასახლდა და მას სლავურად **პლოტნიკი** უწოდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის (იესო) უნდა ყოფილიყო ამ სხეულის განმგებელი, მმართავი და მცოდნე სხეულის აღნაგებულობისა (ასეთ პროფესიას კი ექიმი ეწოდება) ვითარცა ღმერთი, რადგან უფლის გაჩენილი იყო თავად პირველი ადამი, რომელიც თიხისაგან შექმნა. ასე თუ ისე, ეს სლავური სიტყვა **„პლოტნიკ"** არის სიტყვა ინფორმაცია ფიზიკური არსისა. ეს, რაც შეეხება სიტყვის ძირს, ხოლო მთლიანობაში სიტყვა კი ნიშნავს დურგალს. დურგალი – ამ ქართულ სიტყვაში კი უფრო სერიოზულად გვაქვს საქმე. პირველ რიგში ჩემთვის თვალშისაცემი გახდა თავად ამ სიტყვის შეფარული კონსტრუქცია. წინა წერილებში მე ვწერდი, თუ როგორ და რამდენნაირი ტაქტიკით იქმნებოდა სიტყვები. ეს სიტყვა ერთ-ერთი ჭეშმარიტი მაგალითია იმისა, თუ რა დონის ინფორმაცია უნდა დაემალათ 2000 წ. ძვ. აღ-დე და კიდევ 2000 წლიდან ღღემდე. ამ სიტყვით საცნაურდება სწორედ ის ზეინფორმაცია, რომელიც მთელმა მსოფლიომ იცის, მაგრამ ჩვენ (უფლის კანონზომიერებით) ჯერ არ ვიცით, რადგან იმავე კანონზომიერებით ჯერ კიდევ ლეთარგიულ ძილში ვართ. ვინაიდან დურგალი ხესთან არის დაკავშირებული, აქ იგულისხმება ის ერთადერთი ხე, რომელიც უფალმა ედემის ბაღში დარგო: ხე სიცოცხლისა და ხე ცნობადისა (ცნობიერებისა). ეს იმას ნიშნავს რომ იმ ადამიანს, რომელსაც უფალმა პატივი დასდო და შთაბერა თავისი სული, ხუთი თითივით უნდა სცოდნოდა მთელი არსი (ფილოსოფია) ორთავ გაგებისა მაგრამ ერთი ხისა, ვითარცა ქრისტეც იყო ძე ხორციელი და ძე სულიერიც, მაგრამ ერთი სხეული (პლოტ). ეს სხეული კი ასოცირებულად ქართველმა ქურუმებმა ჩადეს სიტყვაში **ცხოველი**, ვინაიდან სხეული ადამიანისა, როგორც ფიზიკური არსი არის ცხოველი (არა ნადირი რა თქმა უნდა). და სწორედ ეს ასოცირებული სახელი დაედო ფუნდამენტად უდიდესი მისტერიის მქონე ტაძარს საქართველოში **„სვეტი ცხოველი"**. სიტყვა სვეტიც ხომ ხის ასოციაციაა. როგორც ხედავთ, მეგობრებო, ყველაფერი ერთ ჯამში იკრიბება და არავითარი ცდომილება. აქ არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ენის სიტყვაში ჩაიდებოდა ან ჩარჩებოდა სიტყვის კოდიგასაღები, მთავარია მიგეკვლია (აღმოგეჩინა)... რადგან დადგებოდა დრო ქვათა შეყრისა, არადა თითო ქვა (კენჭი) თითოეული უფლის სიტყვაა **„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა."** (იოანე, თავი 1-1).

ეგზოთერული განმარტება: უფალმა იესო მიტომ მონათლა დურგლად, რომ ეს პროფესია არ გახლავთ სიმდიდრით გაზულუქებულთა საქმე. ამით იმის თქმა უნდოდათ ბიბლიის შემქმნელებს, რომ ვის თუ არა დურგალს ყველაზე მატად უნდა სცოდნოდა და გაეგო მდაბიო ხალხისთვის, უწიგნურთათვის. და რომ ეს ასეა, ამას თვით ბიბლია ქადაგებს. იესო არის მდაბიოთა ღმერთი და არა მდიდართა. და თუ იესომ აითვისა ეს პროფესია ვის თუ არა მას ყველაზე მეტად უნდა სცოდნოდა როგორ ელაპარაკა უბრალო (გლეხ) ადამიანებთან. თავად იესო უნდა ყოფილიყო მდაბიო, მშრომელი ადამიანის ოჯახიდან და არა მდიდრისა. რადგან უფლის ინფორმაცია მდიდარს არ ეძლევა და არც და ვერც მოიცლის ამისთვის. **„უფრო აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველში"**.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ სიტყვა **„დურგალის"** ეზოთერულ და ჰემატრიულ განმარტებაზე. როგორც თავიდან აღვნიშნე, ჩემი ყურადღება პირველ რიგში მიიქცია სიტყვის კონსტრუქციამ. კერძოდ, თუ დავაკვირდებით, სიტყვაში აშკარად დამაინტრიგებელი განლაგება აქვს ასოებს და მთლიანად სიტყვასაც. დავშალოთ სიტყვა: დურგ+ალ. რატომდაც ძლიერ ჰგავს სიტყვა (ეპონიმს) მარგალ-ს ხომ? დურგ+ალ>>>> მარგ+ალ. რაშია საქმე და რისი თქმა უნდოდათ ჩვენს დიდ წინაპრებს, მათ ვინც დაწერეს პირველი (ბიბლია-ეფუთი) და შემდეგ ურიებმა გადაწერეს თავისებურად, მაგრამ ორიგინალი სიტყვები და შინაარსი ბევრ ადგილას გაიპარა, ან კი უფლის ნებით შემორჩა დღემდე. როგორც მოგეხსენებათ, მეცნიერების ერთი დარგი **„ჰემატრია"** არის უზუსტესი და უნიკალური მაჩვენებელი და ამხსნელი დამალული ინფორმაციისა. მე წინა წერილებში აღვნიშნე სიტყვა მარგ-ის მისტიკური დანიშნულება, რომელსაც მსოფლიო დანიშნულების იდუმალება ახლავს თან. და რომ ამ სიტყვის შიფრ კოდია 4113, რაზედაც დაფუძნებულია მაის ტომის კალენდარული განზომილება. (სხვათა შორის, მაიას მზის კალენდარს მათ ენაზე ჰქვია – ბორჯია). თუ სიტყვა (**დურგ-ალ**-ის) ძირი გახლავთ **დურგ**, რომლის შიფრ კოდი გახლავთ – 4413 (ამ რიცხვთა სხვაობა იძლევა რიცხვს – 300-ს, რაც შემდეგი საუბრის თემაა). თუ დავაკვირდებით ასოთა და ციფრთა შორის სხვაობას, მივიღებთ ასეთ სახეს: მ ა რ გ დ უ რ გ – 4 1 1 3 4 4 1 3.

როგორც ხედავთ აქ მხოლოდ ერთი ასო დ ერთი ციფრია შეცვლილი. ამ ასოსა და ციფრში დევს მთელი მისი საიდუმლოება, თანაც ისეთი რომ დედამიწის ზურგზე არავის არ გააჩნია. კერძოდ: ამ ასოს (უ)-ს რიცხვითი მნშვნელობა არის 4. ამ ციფრზე არ გავჩერდები რადგან (თემა დიდია)..... ხოლო რაც მთავარი ასო „უ" აი, ეს არის საკვირველება. დააკვირდით „უ" ასოს კონსტრუქციას, მის მოხაზულობას და თუ რამდენი ასოსგან არის ის შედგენილი. კარგად დავაკვირდეთ და ვნახავთ რომ ის ხუთი ასოსგან არის შექმნილი, კერძოდ: ა, ე, ი, ო და თავად – უ. უფრო სწორედ, ერთ მთლიანობაში ისინი წარმოადგენენ ასო – უ-ს. უ-ფალს. ერთ ასოში ჩაჩუქურთმებულია ხუთივე ხმოვანი. ეხლა მიპასუხეთ, არის დამწერლობა დედამიწის ზურგზე, ვისაც ასეთი ღვთიური ინფორმაციული წყარო აქვს?..

დამატება: სიტყვა **„დურგალის"** შესატყვისი გვარი არის შემორჩენილი სომხეთში და ეს გვარი არის **„დურგარიანი"**. ამ გვარის მნიშვნელობის განხილვისას ვკითხულობთ:

Происхождение фамилии Дургарян

Версия №1

„В случае если в одном поселении жили несколько Ашотов или несколько Мгеров, то определяли их следующим образом: например, Ашот – внук Зураба, или Мгер – внук Саака. 1. 1)

Фамилия Дургарян образована от прозвища Дургар, которое в переводе с восточно-армянского означает «гончар». Таким образом, эта фамилия содержит указание на род занятий предка. (გონჩარ – ქართულად თიხაზე მომუშავე ადამიანია, ამას კი – კალატოზი ჰქვია. კალატოზი კი – მშენებელია.

სიტყვის ძირი უადრესად თვალშისაცემია. დურგ-ა-რიან. რაც ქართული სიტყვის დურგ-ალ-ის კოპირებაა. 2. სომხური მითოლოგიური გმირი – მგერ. და თუ ამ **„მგერ"**-ის განმარტებას მოვიძიებთ ვნახავთ შემდეგს: მგერ – ძველ სომხურ მითოლოგიაში მზის, ციური ნათელის და სამართლიანობის ღმერთია. არამაზდას შვილი, ძმა ანაიტის და ნანე-სი. (კოლხელებს ხომ მზის შვილებად მიიხსენიებს მთელი მსოფლიო) 3. აღსანიშნავია, რომ ძვ. ქართულად (მეგრულად) მგელი არის ზუსტადაც, რომ – მგერ, ხოლო ახალი მეგრულით (ქართული) კი – მგელ-ი. ამასთან ერთად ისიც გავიხსენოთ, რომ სომხები სამეგრელოს ეძახიან – ეგერაც-ს<< (ე+მგერ+აც). 4. გეცნობათ ხომ სახელი – ნანე? ნანე – (სომხ.Նանե) — ომის, დედისა და სიბრძნის ქალღმერთი... მე რისი თქმაც მინდა სადად მოაზროვნე ადამიანი თავად მიხვდება, რაზედაც არ გავაგრძელებ საუბარს, რადგან სასაუბრო კიდევ უამრავია. ეხლა კი მოკლედ შემოვიფარგლოთ და დავსვამ კითხვებს: 1) რატომ იყო, რომ როცა იესო მშობლებს დაეკარგა იერუსალიმში როცა ისინი ტაძარში შევიდნენ, ეძებდნენ რა მას, იპოვნეს ტაძრის გარეთ ვინმე მოძღვართან, რომელიც ასწავლიდა ბავშვებს და როს ჩაიხედა მათ ანბანში, სთქვა – თქვენ რა ადვილი ანბანი გგქონიათო? რატომ იყო, რომ ახლახან ამერიკელი რეჟისორის მელ გიბსონის ფილმში **„ქრისტეს ვნებანი"**-ში დასაწყისში გვანახებენ იესოს როგორც დურგალს, რომელიც ფეხებიან მაგიდას აკეთებს (ეპიზოდი ფილმისა 21-ე წუთიდან იწყება) და როცა ეკითხება მას დედა მარიამი გაკვირვებით: ეს ძალიან მაღალი მაგიდაა, შვილო, ამასთან როგორ უნდა ისადილოს ადამიანმაო, ვისთვისაა ეს მაგიდა? იესომ უპასუხა – მდიდრებისთვის. მაღალი სკამები, მაღალი მაგიდა, მათ ასე უყვართ სადილობაო (იღიმის). კი მაგრამ, იმ დროს იუდეაში ხომ წამოწოლილნი მიირთმევდნენ საჭმელს? თქვენ ეს რეჟისორის მოგონილი გგონიათ, თუ სადღაც მიჩუმათებულ ნაწერებიდანაა ამოკითხული?.. 2) რატომ არის ქრისტე დურგალი, როცა იმ დროს პალესტინაში იყო თითზე ჩამოსათვლელი ხის ძირი. ეხლა კი ბოლო აკორდი. მე თავიდან შეგნებულად ავუარე გვერდი სიტყვა დურგალის ბერძნულ გამოთქმას. სიტყვა დურგალი ბერძნულად იწერება ასე – **„tectones" „ტექტონი"**. ბერძნულში, როგორც ყველა ენებში ერთ სიტყვას აქვს სხვა და სხვა მნიშვნელობა, მაგრამ ბერძნულში ამ სიტყვის ძირითადი მნიშნელობა არის – მშენებელი, ანუ სამშენებლო საქმის ოსტატი. იესო რომ მშენებლად, ამშენებლად მოინათლა ბიბლიაში ესეც ჭკვიანურად გააზრებულია, რადგან ის იყო ადამიანში სულის აღმშენებელი. აღმშენებლობა კი მხოლოდ მიძინებულ (ცოცხალ სულს სჭირდება და არა გაღვიძებულს).

რეზიუმე: ***ქრისტეს სინონიმი სიტყვა „დურგალი" განგებ იქნა შერჩეული და ამით ბიბლიის (ეფუთის) შემქმნელებმა უდიდესი ინფორმაცია გაასადუმლოეს, გარკვეული ხნით, რა თქმა უნდა. კონკრეტულად კი 4 დღით – „და ოთხისა დღისა მკვდარი, ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე..." – იოანე ზოსიმე. დიახაც, რომ ეს საიდუმლოება კარგად იცოდნენ, იმათ ვინც გენათის (გელათის) მონასტერი აღაშენეს (ამაზე მე წინა წერილებში მოვყევი) და ვინც კი მოღვაწეობდა შემდგომშიც: გიორგი ჭყონდიდელისა და იოანე პეტრიწის მეთაურობით. თავად სიტყვა – „დურგალი" შექმნილი იყო გაცილებით ადრე, მაგრამ იცოდა რა ეს ინფორმაცია გიორგი ჭყონდიდელმა, როგორც ქართველთა უკანასკნელმა ქურუმმა, აქედან გამომდინარე, მონათლა საქართველოს უდიდესი მეფე სინონიმ-გვარად – აღმაშენებელი. დიახაც, რომ მომავალი ბაგრატიონი (მარგ-ა-თი-ონი, რომელიც დაიბადა დასავლეთ საქართველოში და უბადლოდ იცოდა ძვ. ქართული (მეგრული+ საღვთო საიდუმლო ენა) მზადდებოდა საქართველოსთვის როგორც ქრისტეს იპოსტასი. იესო – დურგალი – მარგალი-tectones (აღმაშენებელი) და მეფე დავითი ისტორიამ წმინდანად შერაცხა, რაც სრულიად ადეკვატური იყო. ძვ. ქართულად (მეგრულ) ენაზე როცა სასიხარულო ამბავს გაიგებენ ადამიანს ასე მიმართავენ – ამშენ სკან მახორობა ღორონთქ!!! (აშენდა შენი ეზო-კარი). სწორედ ეს სიტყვა უდევს სიტყვა აღმაშენებელს სიტყვის ძირში. და თუ რატომაა ამ სიტყვაში ასო „ღ" ჩატანიებული, ამაზეც წინა წერილში მქონდა საუბარი.***

***P.S.** აი, მეგობრებო, რაოდენ პელეტები იყვნენ ჩვენი წინაპრები, რანი ვართ დღეს(?) და რა უნდა გავხდეთ ხვალ!!!*

დავით თორდია

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲓᲘᲐᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲢᲝ

ნაციონალებმა საბედისწერო შეცდომა მაშინ დაუშვეს, როცა გამოაცხადეს **„ქართული ოცნების“** და **„პატრიოტთა ალიანსის“** სახით არჩევნებზე პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს და ამიერიდან **„ნაცმოძრაობა“** ერთადერთი პროდასავლური ძალაა საქართველოშიო.

ამით მათ უნებლიეთ აღიარეს, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობას რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა სურს და არა ნატოში გაწევრიანება. ეს სურვილი აქვს, მინიმუმ, 944.630 საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს: 856.529 **„ქართული ოცნების“** + 88 109 **„პატრიოტთა ალიანსის“** ამომრჩეველს, ანუ არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის 53,68%, საიდანაც 48,67%-მა **„ქართულ ოცნებას“** მისცა ხმა, 5,01%-მა კი – **„პატრიოტთა ალიანსს“**.

სამაგიეროდ, დღეს უკვე ყველამ, და არა მარტო ჯანდაცვის მინისტრმა სერგეენკომ, ზუსტად ვიცით, რამდენი მძიმე ავადმყოფია საქართველოში, ვისაც საყოველთაო დაზღვევა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება. დღეს საქართველოში 477.143 ავადმყოფია, ანუ არჩევნებზე მისული ამომრჩევლის 27,11%, ვინც **„ნაცმოძრაობას“**, ანუ სააკაშვილს, მკვლელობებს, წამებებს, რეკეტს, გარყვნილებასა და ტერიტორიების დაკარგვას მისცა ხმა.

„ამიერიდან ახლადარჩეული პარლამენტის ტრიბუნიდან რუსული ნარატივი იზანზარებს!“ – აცხადებენ ეს **„ფსიხბალნიცის“**, ხშირად კი **„რესბალნიცის“** პოტენციური პაციენტები. მათ მხარს უბამს პოლიტიკური მორგის ზომბების გუნდი – ლეიბორისტული პარტია და რესპუბლიკური პარტია, ბანს კი მსოფლიო ბანის პარტია აძლევს, რომელმაც თავისი უკანასკნელი პარტია ოდესაში შეასრულა.

ზომბების გუნდს ალასანიას პოლიტმდივანი მოჰყვა: **„საქართველო საბჭოთა კავშირში დაბრუნდაო!“** გამოაცხადა (ალასანიას პარტიის დაშლის შედეგად ის უმუშევარი არ დარჩენილა – უკვე დაპატიჟებულია მუსკომედიაში **„ბაბაიაგას“** როლზე, თანაც – გრიმის გარეშე...).

და, რა თქმა უნდა, თავისი ხმა ავლაბრის სასახლის მობინადრეებმაც შეაშველეს: **„სატირალია და სამწუხარო, რომ ახალი პარლამენტი არ იქნება მრავალპარტიული, რადგანაც პროდასავლური პარტიები შესუსტდნენ და დაიშალნენ!“** – ოფიციალურად აცხადებს **„კარალევა მარგო“** მისი ჩაფიქრებული ფრეილინებით...

„კი, მაგრამ, რანაირად არის „ქართული ოცნება“ პრორუსული, თუ თითქმის ყველა პრორუსული პარტია არჩევნებამდე რეგისტრაციიდან მოიხსნა, დარჩენილებმა კი არჩევნებში სასტიკად წააგეს? მათ შორის, – უბლოკო ბურჯანაძემაც, რომელმაც ივანიშვილი ფალსიფიკაციაში, უზურპაციასა და თურქმენიზაციაში დაადანაშაულა?! როგორ შეიძლება, ამერიკა, ევროკავშირი და ნატო სამართლიანად აღიარებდეს და იცავდეს არჩევნებს, რომელშიც, ვითომ, პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს?!“ – სამართლიანად უკვირს ქართველ ხალხს და ამიტომ ამომრჩეველთა უმრავლესობა მეორე ტურზე წავა და ხმას ისევ **„ქართულ ოცნებას“** მისცემს.

აი, მეგობრებო, კიდევ ერთი კლასიკური მაგალითი, როცა უტვინო პოლიტტიკინების სიცრუეზე აგებული პიარი მათივე საწინააღმდეგო **„შავ“** პიარად მობრუნდა!

ამ ბალაგანის მაყურებელი აშშ-ის ელჩი საქართველოში არა მარტო ნიჭიერი დიპლომატი, არამედ კალმის ნამდვილი დიდოსტატი აღმოჩნდა. გასულ ოთხშაბათს აშშ-ის საელჩოს გვერდზე Twiterr-ში იან კელიმ მოკრძალებული მესიჯი გაავრცელა, რომლითაც ნაციონალებს პიარში ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარა:

„მივესალმები წუხანდელ გადაწყვეტილებას არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიღების შესახებ. ქვეყნებს სჭირდებათ პოლიტიკური და მედიაპლურალიზმი წარმატებისა და განვითარებისთვის. აშშ მზად არის დასახმარებლად“, – ნათქვამია აშშ-ის ელჩის ლაკონურ პოსტში.

ამ სამ წინადადებაში იან კელიმ წარმოადგინა არა მარტო აშშ-ის დამოკიდებულება შემდგარი საპარლამენტო არჩევნების მიმართ, არამედ აშშ-ის ხედვა საქართველოსთან მიმართებაში უახლოეს პერსპექტივაში. აი, რას ნიშნავდა სინამდვილეში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ეს დირექტივა:

1. პარტია **„ნაციონალური მოძრაობა“** აუცილებლად უნდა დარჩეს უახლოესი 4 წლის განმავლობაში ერთადერთ მთავარ ოპოზიციურ ძალად საქართველოს დეფაქტო ორპარტიულ პარლამენტში და არ დაიშალოს, როგორც ალასანიას და ბურჭულაძის პარტიები. თუ **„ნაციონალური მოძრაობა“** მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებს, პარლამენტში მხოლოდ **„ქართული ოცნება“** შევა, რაც ქვეყანაში **„პოლიტიკური პლურალიზმის“** მაჩვენებელი არ იქნება, რომელიც **„ქვეყანას სჭირდება წარმატებისა და განვითარებისთვის“**.

2. ტელეკომპანია **„რუსთავი 2“**-მა დაუბრკოლებლად უნდა განაგრძოს თავისი საქმიანობა არჩევნების შემდგომაც, თანაც, ამუამინდელი მენეჯმენტის და შეუცვლელი სარედაქციო პოლიტიკის პირობებში, ეს იქნება **„მედიაპლურალიზმის“** მაჩვენებელი, რომელიც **„ქვეყანას სჭირდება წარმატებისა და განვითარებისთვის“**.

3. პარტია **“ნაციონალური მოძრაობა“** მთლიანად უნდა გათავისუფლდეს მისი ყოფილი ლიდერისა და დამფუძნებელის – შეშლილი სააკაშვილის კონტროლისგან, რომელსაც აშშ-მა დიდი ხანია **„ჯვარი დაუსვა“**. და თუ ოდესის გუბერნატორი გაბრაზდება და ოდესიდან ფულის გამოგზავნას შეწყვეტს, **„აშშ მზად არის პარტიას დაეხმაროს“** ფინანსურად.

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲨᲘ ᲒᲐᲥᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲚᲔᲑᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ – ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ!

„ბაღდათის ახალი აღმოჩენის დადასტურების შემთხვევაში დედამიწის ისტორიის შესახებ მეტის თქმის საშუალება მიეცემათ მკვლევრებს. ვიცით, რომ შორეულ წარსულში არსებობდნენ დინოზავრები, მაგრამ კონკრეტულად სად, ამ პასუხგაუცემელ კითხვას ალბათ მალე ბაღდათი უპასუხებს“

შესაძლოა, იმერეთის ეს პატარა ქალაქი მალე მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოექცეს – მდინარე ხანისწყლის პირას აღმოჩნდა გიგანტური კუს, დინოზავრის და დიდი ზომის თევზების გაქვავებული ნაშთები. ვარაუდობენ რომ, ცხოველთა **„ნიმუშები“** რამდენიმე ასეული საუკუნისაა. ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ბაღდათი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის სტატუსს შეიძენს, მისი აღმომჩენის, ნინო ბაზანოვის სახელი კი შესაძლოა, საქართველოს ისტორიაში ჩაიწეროს. ამ ამბავს სპეციალისტები და მთელი საქართველო გაზეთ **„კვირის პალიტრის“** მეშვეობით შეიტყობენ. ჩვენი გაზეთი ქალბატონ ნინოს ესაუბრა.

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲐᲖᲐᲜᲝᲕᲘ: – 10 სექტემბერს ოჯახთან ერთად ვსეირნობდი ხანისწყლის პირას. მდინარის მარჯვენა მხარეს მეწყერია ჩამოწოლილი. ბავშვი გაიქცა და გავყევი. ანაზდად ყურადღება მიიქცია ქვების უნიკალურობამ. პროფესიით გეოგრაფი, ქიმიკოსი და ბიოლოგი ვარ. მალევე მივხვდი, რომ ქვები ცხოველური წარმონაქმნი იყო.

– რა ცხოველები აღმოაჩინეთ?

– რამდენიმე გაქვავებულ ნაშთს კუს ფორმა აქვს. იქვე აღმოჩნდა ნიანგის კუდის ანალოგიც. ასამდე ნაშთია შენარჩუნებული. მდინარის ნაპირი გამაგრებულია კირქვის ლოდების ჯებირებით. დიდი ხანია მახსოვს ეს ქვები, მაგრამ დაკვირვება მხოლოდ ერთი თვის წინ დავიწყე. ცხოველთა გაქვავებული ფიგურები ბონდის ხიდიდან 25-30 მეტრშია მიმოფანტული და ქარავნის შთაბეჭდილებას ტოვებს. მდინარიდან მოშორებით, კირქვებში მოქცეულია კუს ბაკანი, ფიქსირებულია ძვალი – თავის ნაწილით, ბეჭის არე, ხერხემლის მალა, კისრის ნაწილი.

– როგორ ხსნით ამ უნიკალურ აღმოჩენას?

– ცოცხალი ორგანიზმის არაცოცხალ ორგანიზმად, ქვად გადაქცევა განპირობებული უნდა იყოს წნევისა და ტემპერატურის გავლენით – იქვეა ვულკანური ფერფლიც. ცხოველთა ზომები საკმაოდ მერყეობს. ყველაზე პატარა დაახლოებით 30 კილოგრამია, ყველაზე დიდი – 2 ტონამდე. ჰიდროგენეზისის შედეგად ეს ცხოველები უფრო დაპატარავდნენ.

ერთი გიგანტური კუს ზომა 1.5 მეტრია, მეორისა – 1.25 მეტრი. ამ ნაშთებს სასწრაფოდ უნდა მივხედოთ, ვიდრე მდინარეს არ ჩამოურეცხავს. მდინარის მარცხენა ნაპირზე ცხოველებს აშკარად ეტყობა, რომ მზისგან იშლება, მაგრამ მაინც კარგად განირჩევა ნაწლავების, კუჭის, ხერხემლის ნაწილები. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ქოლესტერინისა და ფერმენტების წყალობით შენარჩუნებულია საჭმლის მომნელებელი სისტემის ნაწილი.

იმერეთში, კერძოდ სათაფლიაში, აღმოჩენილია დინოზავრის ნაკვალევი. ბაღდათის ახალი აღმოჩენის დადასტურების შემთხვევაში დედამიწის ისტორიის შესახებ მეტის თქმის საშუალება მიეცემათ მკვლევრებს. ვიცით, რომ შორეულ წარსულში არსებობდნენ დინოზავრები, მაგრამ კონკრეტულად სად, ამ პასუხგაუცემელ კითხვას ალბათ მალე ბაღდათი უპასუხებს...

შენარჩუნებულია დინოზავრის თუ პრონტოზავრის გიგანტური კუდის ნაწილი ხერხემლის წილით, აქვეა 1-მეტრიანი თევზიც, რომელიც მთლიანია და ჩაფლულია ვულკანურ ქერქში. თუმცა ქერქი წყლის ზემოქმედებით უკვე გამკვრივებულია. კუ სრული სახითაა შენახული. შეინიშნება მასიური ძვლის ნაწილებიც, რომელიც ეკუთვნის ან დინოზავრს, ან გიგანტურ ნიანგს.

– ეს ამბავი თუ შეატყობინეთ შესაბამის უწყებებს?

– მივმართე სამთავრობო უწყებებს. წერილი მივწერე პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს. ჯერ არავინ ამოსულა შესასწავლად, რადგან ეს აღმოჩენა დაემთხვა საარჩევნო პერიოდს. რაიონის ძეგლთა დაცვის უწყების სამსახურმა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს შეატყობინა. ჩამოვიდნენ ისტორიკოსი და გეოგრაფი. აღფრთოვანებული დარჩნენ. ამ ამბავს მკითხველი პირველად თქვენი გაზეთით შეიტყობს.

მივმართავ ყველა კომპეტენტურ პირს, ვისაც შეუძლია ამ უნიკალურ აღმოჩენაზე მუშაობის დაწყება. ეს ძალიან დიდი საქმეა, დადასტურების შემთხვევაში შეიცვლება ისტორიაც და საქართველოს უნიკალურობაც კიდევ ერთხელ დამტკიცდება, ტურიზმიც მნიშვნელოვნად გაიზრდება...

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲧᲐᲯᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲨᲜᲐᲙᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲔᲛᲔᲓ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔᲖᲔ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲐ!

2007 წლის მარტი. აჭარა. პირწავარდნილმა ნაციონალმა, არაეთნიკურმა ქართველმა და სულით დაშნაკმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში მემედ აბაშიძის (ასლან აბაშიძის ბაბუა) ძეგლი მოგლიჯა და სანაგვეზე მოისროლა.

მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძე (დ. 1873, ბათუმი – გ. 1937) გახლდათ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა ღირსეული შთამომავალი. იგი გახლდათ მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

მემედ აბაშიძემ დაწყებითი განათლება მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. მამის ხელმძღვანელობით დაეუფლა არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის დასაწყისში. სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პრესაში. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც რამდენიმეჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წელს დაბრუნდა ბათუმში. ხელმძღვანელობდა ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას. 1918 წელს პროტესტით შეხვდა აჭარაში შემოსულ თურქებს, რისთვისაც დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. საპატიმროდან გაიქცა, ჩამოვიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა **„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“**. 1919-1921 წლებში რედაქტორობდა გაზეთ **„სამუსლიმანო საქართველოს“**. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ქართულად თარგმნა ომარ ხაიამის, ნამიქ ქემალის ნაწარმოებები. ავტორია რამდენიმე მოთხრობისა.

თანდათან ხდება ნათელი, თუ რა უბედურობები დაგვატეხა თავს შეშლილმა სააკაშვილმა, რომლის მმართველობის 9 წელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში ჩვენი ერის დიდ სირცხვილად. ამ პატარა კაცმა და დიდმა დაშნაკმა ვეღარ მოთოკა ასლან აბაშიძის მიმართ დაგუბებული ბოდმა და საქართველოს ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი გაანადგურა. განადგურებაც არის და განადგურებაც, უკვე აღვნიშნეთ, რომ მან ღირსეული ქართველის მემედ აბაშიძის ძეგლს სანაგვეზე მიუჩინა ადგილი. და ამის შემდეგ ვინმეს უნდა მოუბრუნდეს ენა და დადებითი სიტყვები თქვას იმ ვაი-ქართველების მიმართ, რომელთაც ავადსახსენებელ „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცეს ხმა?!

დონ პეტრეს ვნებანი

ხმობილს პეტრე ცაავად,
არ დაგემხოს ცა ავად!
ხალხური

ჟურნალისტებს პატრიარქის კურთხევა გვაქვს – სიმართლე ვწეროთ. ამიტომ ვიმედოვნებთ, ფარისევლების მხილებისას უფალი ნამდვილად შეგვეწევა!

მეგრელებს არც ის გაკვირვებიათ, როცა კათოლიკოსმა როლანდ ახალაიას რეგიონის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საპატრიარქოს ძვირფასი ჯილდო "წმინდა გიორგის" ოქროს ორდენი გადასცა, რადგანაც ადგილობრივებმა ამაშიც მეუფის ხელი დაინახეს!

"უკაცრავად, ანტისახელმწიფოებრივ გაზეთს (იგულისხმება გაზეთი "ასავალ-დასავალი") და მის ცილისმწამებელ წარმომადგენლებს ვპასუხობ მხოლოდ წმინდა სახარებიდან: "შეინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი," – ეს სიტყვები ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტს, მეუფე პეტრეს ეკუთვნის, რომელსაც დახმარებისათვის მივმართეთ, რათა ჩვენთვის საჭირო სასულიერო პირთან დავეკავშირებინეთ. ომს ნამდვილად არ ვაპირებდით და ამიტომ მეუფისაგან, რომელმაც ქრისტეს სახელით ქადაგება იკისრა, ასეთ უკმეხობას ნამდვილად არ ველოდით. ვთვლით, რომ ქრისტიანი მიმტევებელია, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ ვიღებთ ჭყონდიდელი მიტროპოლიტისგან გამოწვევას, მით უმეტეს, ჟურნალისტებს პატრიარქის კურთხევა გვაქვს – სიმართლე ვწეროთ. ამიტომ ვიმედოვნებთ, ფარისევლების მხილებისას უფალი ნამდვილად შეგვეწევა!"

ამას წინათ წავიკითხე, თანამედროვე ქრსტიანი მოღვაწე როგორ აფრთხილებდა ადამიანებს: **"ძალიან მოერიდეთ მათ, ვისაც საკუთარი დანაშაულისა და შეცდომის შეგრძნება არა აქვს და არასოდეს იხდის ბოდიშს. სწორედ ასეთ ძალებს, რომლებიც ყველაზე მეტად ისწრაფვიან ძალაუფლებისაკენ, დოსტოევსკი ეშმაკისეულს უწოდებდა"**. რუსი გენიოსი მწერლისაგან, ჩვენ მეუფე პეტრეს **სენაკელ გაპონს** დავარქმევდით!

მეუფე პეტრეს (ბერად აღკვეცამდე პაატა ცაავა) სამეგრელოში ხან **"შპს პეტრესა"** და ხანაც **"დონ პეტრეს"** უწოდებენ. **დონ პეტრე საზოგადოებამ ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო, ახლო მეგობარს ბინა რომ გაუყიდა!** სასწაული ისაა, რომ ამ ადამიანმა ცაავას თბილისში საცხოვრებლად საკუთარი ბინა დაუთმო – სანამ საკუთარი გექნება, ჩემს სახლში იყავიო. გავიდა რამდენიმე თვე და ბინის პატრონმა შეამჩნია, რომ მეგობარი ცაავა აღარ ეხმიანებოდა. მივიდა საკუთარ სახლში და კარი ქალმა გაუღო – ეს სახლი პაატამ მოგვყიდა, თქვენ ვინ ბრძანდებითო? გაყიდული ბინის გადარეულმა მეპატრონემ გადაატრიალა ყველაფერი, საზღვარგარეთაც კი ეძებდა პაატა ცაავას, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერსად მიაკვლია. ერთ დღესაც, როცა ტელევიზორი ჩართო, კაცს კინაღამ ტვინში სისხლი ჩაექცა – ეკრანიდან უკვე თავზე მიტრადადგმული მიტროპოლიტი მეუფე პეტრე ლოცავდა.

ის, რომ გულმა გული იცნო და **ახალაიებმა** მეუფე პეტრე გულში ჩაიხუტეს, არავისთვისაა გასაკვირი. მეგრელებს არც ის გაჰკვირვებიათ, როცა კათალიკოსმა როლანდ ახალაიას რეგიონის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საპატრიარქოს ძვირფასი ჯილდო **"წმინდა გიორგის"** ოქროს ორდენი გადასცა, რადგანაც ადგილობრივებმა ამაშიც მეუფის ხელი დაინახეს!

მარტვილის მოსახლეობა დღესაც აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მეუფე პეტრე ახალაიებსა და გახრწნილ მეგის ქარდავას კარგა ხანს მალავდა. ხალხი იმასაც ამბობს, რომ მეუფე დათა ახალაიას საბრძნეთში სისტემატურად აკითხავს და მასთან ფული ჩააქვს, ხოლო თუ ნაციონალები გადატრიალებას ჩაიფიქრებენ, ტონობით დამალულ იარაღს მეუფე მაშინვე გამოაჩენს.

რამდენიმე წლის წინათ ჟურნალისტებმა მეუფე პეტრეს სკანდალური ამბავი გამოუქვეყნეს, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირი ნაციონალური მოძრაობის ძალოვან სტრუქტურებთან იყო შეკრული – **ახალაიებს გავლენიანი ადამიანების აღსარება გადაეცემოდათ.** ეს ინფორმაცია მაშინ ერთ-ერთმა ცნობილმა ბიზნესმენმა გააჟღერა:

"მეუფე პეტრესთან მივედი, შესანიშნავი შესახედაობის კაცია, ამავე დროს, კომუნიკაბელურიც. გადავწყვიტე, ჩემი გაჭირვების შესახებ მომეყოლა, რა უბედურებაც ჩემს თავს ტრიალებდა. ავდექი, გვარებით და სახელებით მოვუყევი, ვინ მებრძოდა, ვინ ახდენდა ჩემზე ზეწოლას და ქონებას ვინ მართმევდა. მან ჩაიცინა და არაფერი უთქვამს. მერე შევიტყვე, რომ ახალაიების სულიერი მოძღვარი და უახლოესი მეგობარი ყოფილა, ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათთან მიჰქონდა და თავში ხელი შემოვირტყი, მაგრამ უკვე გვიანი იყო", – აცხადებდა რესპონდენტი.

ეს უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირი 2012 წელს სამეგრელოში კეტით დასდევდა ხალხს, გინდათ თუ არა, ხმა ნაციონალებს მიეცითო, რადგანაც ტკბილი და თბილი იყო ახალაიების საჩუქრები. მათ შორის უძვირფასესი ეტლი, რომელიც დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ეზოში დღესაც დგას.

მეუფე მეგრელი კაცია და, შესაბამისად, ცხენები ძლიერ უყვარს, ამიტომ ძვირფასი ცხენსაშენიც აქვს. მოკლედ, დონ პეტრე არაფერს იკლებს და ცხოვრობს კაცი, რა! მაგრამ ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მეუდროება ერთმა ფაქტმა დაარღვია, როცა სასულიერო პირები განუდგნენ. ეს ამბავი კი ასე მოხდა: **სანამ ციხის კადრები გამოქვეყნდებოდა, მეუფეს სასულიერო მამები ავად თუ კარგად ემორჩილებოდნენ, ხოლო კადრების გამოქვეყნების შემდეგ მარტვილის მონასტერი პროტესტის ნიშნად ერთბაშად ათეულმა სასულიერო პირმა დატოვა. განდგომილებს პატრიარქთან შეხვედრა სურდათ, მაგრამ კათოლიკოსს შეხვდნენ თუ არა, უცნობია.**

2013 წელს ანაკლიაში გამართული ბაჩა ახალაიას მხარდამჭერი აქციის მთავარი კოორდინატორი და სულისჩამდგმელი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მეუფე პეტრე გახლდათ. მანამდე დონისძიების დეტალები მეუფემ საზღვარგარეთ მყოფ დათა ახალაიას შეუთანხმა. **საქმე ისაა, რომ დონისძიებაზე დასასწრებად მისული ორი ათასამდე ადამიანი მოტყუებული დარჩა, რადგანაც დაინახეს, რომ თბილისიდან ჩამოსული ცნობილი მომღერლების ნაცვლად ბაჩო ახალაიას გმირად შერაცხვის ცერემონია მიმდინარეობდა და ამიტომ ამფითეატრი დემონსტრაციულად დატოვეს.**

მეუფე პეტრეს მარტვილის რეზიდენციაში დათვი ჰყავს, რომელმაც პატარა ბავშვი დატორა. ბავშვის ბაბუის თქმით, გალიის გისოსები ერთმანეთისაგან ისე ყოფილა დაშორებული, რომ დათვი ტორებს გალიის გარეთ ჰყოფდა. ბავშვი გალიასთან მდგარა, როცა ცხოველმა გალიიდან მოულოდნელად ფეხი გამოჰყო, ბავშვს ფეხში გამოსდო და წააქცია. წაქცეული ბავშვი დათვმა გალიაში ფეხით შეათრია. ერთ-ერთმა მეზობელმა დათვს რკინის ნაჭერი დასცხო და აკივლებული ბავშვი პირიდან გააგდებინა. **მარტვილელ ექიმს უთქვამს – ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როცა მეუფე პეტრეს დათვმა ადამიანი**

დაგლიჯაო, მაგრამ მეუფისათვის ჩივილი არავის გაუბედავს. სასულიერო პირის გარემოცვამ კი განაცხადა – მიტროპოლიტი მუდამ მიმტევებლობას და შემწყნარებლობას ქადაგებს და აღნიშნულ ამბავზე დავა მისთვის მიუღებელიაო(!).

რამდენად მისაღები იქნება მისთვის კიდევ ერთი ამბის გახსენება, არ ვიცი, მაგრამ მაინც უნდა შევახსენო: მარტვილში ბიზნესმენი **ალეკო ახვლედიანი** დაკრძალვაზე ყოფილა. ეტყობა იქაურებს წყალი დასჭირდათ და ახვლედიანს ყუთებით **"სნო"** უყიდია. მეუფეს ეს რომ დაუნახავს, ხმამაღლა შეუგინია, **"მარტვილის წყალი"** როცა არსებობს, ეს აქ ვინ მოიტანაო და ყუთი გაუსროლია. შეგახსენებთ, **"მარტვილის წყალი"** მიტროპოლიტის ბიზნესია. მოკლედ, ბიზნესმენს გინება არ მიუღია და საცემრად გაწეულა. ხალხი რომ არა, უბედურება დატრიალდებაო, – ამბობენ მარტვილელები.

მეუფე სატელეფონო მესიჯში წმინდა სახარებას იშველიებს, მაგრამ სიტყვები – **"შეინანეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი",** – მხოლოდ ჟურნალისტებს არ ეკუთვნის, ეს ყველას ეხება, იმავე სახარებაში ქრისტე იმასაც ამბობს: **"ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვებაო".**

და ბოლოს: **იმავე სახარების მიხედვით – ყველა, ერიც და ბერიც, სიმართლისათვის უნდა იბრძოდეს, მაგრამ, მეუფე პეტრეე, სიმართლისათვის ბრძოლის თქვენი და ჩვენი მეთოდები აშკარად განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა გზა უფლისკენ მიდის!**

თამარ ოქრუაშვილი
გაზეთი "ასავალ-დასავალი"

გაზეთ „ილორის“ 2016 წლის 19-26 ივლისის 372-ე ნომერში გამოქვეყნდა მარტვილის რაიონის სოფ. სალხინოს (წაჩხურუს უბნის) მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომელსაც 150 ადამიანი აწერდა ხელს.

ადამიანები გულისწყრომას გამოთქვამდნენ მათი წინაპრების საფლავების წაბილწვაზე, რაც ყოველი სალხინოელისათვის შეურაცხმყოფელია. განმცხადებლები გულისწყრომით აღნიშნავდნენ, რომ მეუფე პეტრემ სალხინოში არსებული ეკლესიები აქცია "ბიზნესცენტრად", ყოველთვე გაუსაძლისი მდგომარეობის გამო კი, ბერთა უმრავლესობა, გაურბის მეუფის სასტიკ ზეწოლას. ჩიოდნენ იმასაც, რომ სალხინო-დიდიჭყონის დამაკავშირებელი ხიდისგან, რომელიც შეკეთდა დღევანდელი ხელისუფლების დროს, დარჩა მეორადი კონსტრუქცია, რომლის წონაც იყო 66 ტონა და შეფასებული იყო 30.000 ლარად. სალხინოს მოსახლეობის თხოვნით, იგი უნდა მოხმარებოდა სოფელ სალხინოს მოსახლეობას, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა არის ხიდის გარეშე, რაზეც რაიონის ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და მეუფე პეტრემ გამოგზავნა დაქირავებული მუშები, რომლებმაც დაიწყეს ხიდის კონსტრუქციის დაჭრა, რათა ჩაებარებინათ ჯართში. მანვე გამოგზავნა საეკლესიო პირები, რომლებიც მოსახლეობას უყვიროდნენ და ეუბნებოდნენ, რომ "ეს მეუფე პეტრემ ჩააწყო, ჩვენ ფული გვჭირდება და უნდა გავყიდოთ, თქვენ ვინ გეკითხებათ, ამ წინააღმდეგობის გამო უფალი დაგსჯით"-ო. ამგვარმა უსამართლობამ და მეუფის არაადამიანურმა საქციელმა მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია. მიუხედავად მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობისა მეუფე პეტრემ თავისი გაიტანა და ხიდი, 15.000 ლარად, ქ. ქუთაისში ჯართად ჩააბარა. დარჩენილი ხიდის 10% მოსახლეობას დაუტოვა და განაცხადა: "ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, სხვა წაიღებდა და საერთოდ არაფერი დაგრჩებოდათო".

ასევე, სოფ წაჩხურუში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ეზოში, სადაც დასაფლავებულია უამრავი მიცვალებული და ამჟამადაც მოქმედი სასაფლაოა, მეუფე პეტრეს მითითებით ყველა საფლავს, რომელიც იყო შემოკავებული, ვანდალურად მოხსნეს ღობეები და გაყიდეს.

ეკლესიაში მოღვაწე ბერებმა განუცხადეს მოსახლეობას, რომ ამ საფლავებს თვითონ შემოაკავებდნენ და ყვავილებსაც დაურგავდნენ ირგვლივ, მიცვალებულებს კი ქვის ლოდებს დაასვენებდნენ, თუმცა გამოვიდა სულ სხვა რამ – სასაფლაოს ტერიტორიებზე ჰყავთ ძროხები, საფლავის ღობეებით მოაწყვეს საღორეები, საპირფარეშოს ფეკალური მასები მდინარეში ჩაედინება, მიუხედავად მოსახლეობის თხოვნისა, მდგომარეობა არ შეცვლილა.

ეხლა ხალხს ეუბნებიან, რომ საფლავები სხვაგან უნდა გადაიტანოთო, ხოლო ეზოს ტერიტორიაზე, სადაც მიცვალებულების სამარხი ადგილია, დაიწყეს ხეების დარგვა, რათა აიძულონ მოსახლეობა იძულების წესით გადაიტანონ მიცვალებულები სხვაგან.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორს ტელეფონით დაურეკა ვიღაც უცნობმა და დაიწყო მტკიცება, რომ მეუფე პეტრე შესანიშნავი და საამაყო პიროვნებაა და გაზეთი მასთან ტყუის. ამ არამკითხე მოამბეს (რომელიც, უეჭველია პეტრე ცაავას მიერ იყო მოჩენილი) განემარტა, რომ არსებობს სატისფაქციის მოთხოვნის უამრავი ფორმა, მათ შორის სასამართლოც, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა, რადგან დამნაშავე პირი არასოდეს მიმართავს სასამართლოს პირადი ღირსების დასაცავად. სინოდი კი, იმედია, ერთხელ მაინც მიხედავს ამ საკითხს და ჯეროვან გადაწყვეტილებას მიიღებს იმ მღვდელმსახურის მიმართ, რომელიც დაბლა სცემს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტს.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲖᲔ

მობილური ტელეფონის გამოყენებამ 21-ე საუკუნეში მასობრივი ხასიათი მიიღო და ყოველდღიურობა ამ საკომუნიკაციო საშუალების გარეშე უკვე წარმოუდგენლად გვეჩვენება, თუმცა მისი აქტიურად გამოყენებისას ხშირად რისკებს არ ვაანალიზებთ, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა ჩვენს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოახდინოს.

მობილური ტელეფონი, გამოყენებისას თავთან ახლო კონტაქტში იმყოფება, შესაბამისად, მისი დასხივება გარკვეულ ზეგავლენას თავის ტვინსა და კანის ქსოვილებზე ახდენს.

გამოყენებითი ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის, ვერიკო ჯელაძის თქმით, მობილურ ტელეფონს ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს ტვინსა და სხვა სასიცოცხლო ორგანოებზე შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს. მისი თქმით, გამოყენებისას

მობილური ტელეფონი ელექტრომაგნიტულ ველს წარმოქმნის, რომლის ნაწილის შთანთქმაც ადამიანის ორგანიზმში ხდება.

„ადამიანში ელექტრომაგნიტური ველის შთანთქმა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, რა მანძილზეა ტელეფონი ადამიანისგან, რა სიხშირეზე მუშაობს ის. საკომუნიკაციო მოწყობილობის დაბალ სიხშირეზე მუშაობისას, ელექტრომაგნიტური ველი ორგანიზმში უფრო მეტად აღწევს, ვიდრე მაღალი სიხშირის შემთხვევაში. გარდა ამისა, ელექტრომაგნიტური ველის შთანთქმა ადამიანის აღნაგობაზე, თავის ფორმასა და ზომაზე და ტელეფონსა და თავს შორის მოხმარებისას არსებულ მანძილზეცაა დამოკიდებული.

მაღალი სიხშირის შემთხვევაში გამოსხივების შედეგად ტემპერატურა უსაფრთხოების ზომებს აღემატება, მაგრამ ის ტვინის ნაწილებში ვერ აღწევს რადგან ძირითადად კანსა და ცხიმის ფენაზე ნაწილდება. დაბალ სიხშირეზე კი ქსოვილზე რეაქცია ნაკლებია და უფრო თავის ტვინში აღწევს“, – განმარტავს ის.

ფიზიკოსის თქმით, მობილური ტელეფონის ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შესახებ საუბრისას, ტელეფონში ჩაშენებული ანტენის მდებარეობა და წარმოქმნილი ენერგიის შთანთქმის კოეფიციენტიც (SAR) უნდა გავითვალისწინოთ.

მისი განმარტებით, ანტენა სმარტფონებში ძირითადად ქვედა მხარესაა ჩაშენებული, ამიტომ ეს ნაწილი თავთან მოშორებით უნდა დავიჭიროთ ან ტელეფონი საუბრის ხმამაღალ რეჟიმზე გადავიყვანოთ.

რაც შეეხება SAR-ს, რომელიც გვიჩვენებს, გამოსხივების შედეგად სხეულში ენერგიის რა ნაწილი შთაინთქმება, მისი კოეფიციენტი თავის არეში 2ვტ/კგ-ს არ უნდა აღემატებოდეს, სხეულის სხვა ნაწილებში უფრო მეტია დასაშვები, ამიტომ ტელეფონის შეძენისას, უკეთესია, აღნიშნულ მაჩვენებელს დავაკვირდეთ.

მობილური ტელეფონის დაბალ სიხშირეზე ფუნქციონირებისას კანი გვიცხელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრომაგნიტური ველის შთანთქმა ძირითადად ქსოვილში მოხდა, ამ შემთხვევაში ერთვება სისხლის მიმოქცევის ფაქტორი, რაც დაგროვილი სითბოს მთელს სხეულში გადანაწილებას უზრუნველყოფს.

„სისხლის მიერ სითბოს გადატანის გამო, ტემპერატურა თავის ტვინთან დაახლოებით 30%-ით იმატებს და ასევე იმატებს SAR-იც“, – განმარტავს ვერიკო ჯელაძე და ასევე დასძენს, რომ ქსოვილის ტემპერატურის ზრდა 1 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს, ტვინისთვის კი 1 გრადუსზე მცირე უნდა იყოს, რაც, გათვალისწინებული არ არის.

ვერიკო ჯელაძემ კვლევა ტელეფონის გამოყენებისას ხელის ფაქტორის არსებობის შესახებაც ჩაატარა, მისი თქმით, როდესაც ხელის გული ტელეფონში ჩაშენებული ანტენის მხარეს ეხება, ტელეფონის გამოსხივება და რეაქტიული ველი იზრდება და ადამიანისთვის უფრო საზიანო ხდება. ამიტომ ტელეფონზე საუბრისას ხელის ისეთი პოზიცია უნდა შევარჩიოთ, რომ გამოსხივება თავის ტვინში ნაკლებად შთაინთქას:

„როდესაც მობილური ტელეფონი ხელისგულით გვიჭირავს, ენერგიის უმეტესი ნაწილი შთაინთქმება ხელში, რადგანაც მოწყობილობა ხელს უშუალოდ ეხება და თავზე ნაკლებად აისახება,

თუმცა როდესაც ტელეფონს ხელის გულით ვფარავთ, გამოსხივების სიმძლავრე ავტომატურად იზრდება, შესაბამისად, თავის არეში უფრო მაღალი ელექტრომაგნიტური ველიც.

მობილური ტელეფონის მხოლოდ თითებით დაჭერისას, თითები ხურდება და თავშიც ელექტრომაგნიტური ველი უფრო მაღალი სიმძლავრით შედის“.

პროფესორის თქმით, მობილური ტელეფონის გამოყენების ხანგრძლივობაც უნდა გავითვალისწინოთ, რადგან როგორც ცნობილია, გამოსხივებასთან დაკავშირებულ მოვლენებს დაგროვებითი ხასიათი გააჩნია, ამიტომ რაც უფრო დიდი ხანი ვსაუბრობთ, მით უფრო მეტი რაოდენობის ენერგია შთაინთქმება და შესაბამისად, ჯანმრთელობისთვის ეს უფრო მეტად საზიანოა.

როგორ შეიცვლება მსოფლიო 25 წლიწადში – Google-ის ტექნიკური დირექტორის პროგნოზები

ვერიკო ჯელაძე გარემოს ფაქტორზეც მიუთითებს, რომ საკომუნიკაციო საშუალების დია სივრცეში გამოყენებისას დასხივების მაჩვენებელი უფრო დაბალია, – „როდესაც ტელეფონზე ოთახში ან ლიფტში ვსაუბრობთ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი შენობები რკინა-ბეტონის კონსტრუქციისგანაა დამზადებული, ენერგია გროვდება და ოთახი ელექტრომაგნიტური ველის წარმოქმნას აძლიერებს.

ეს რა თქმა უნდა, ადამიანზე კიდევ უფრო უარყოფითად აისახება. უკეთესია, თუ ტელეფონზე ფანჯარასთან ვისაუბრებთ, რათა ოთახში ენერგიის დაგროვება ნაკლებად მოხდეს,“ – აღნიშნავს ის.

გამოყენებითი ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის რეკომენდაციით, ბავშვებსა და ტელეფონს შორის კონტაქტი ხშირად არ უნდა მოხდეს.

„ბავშვის შემთხვევაში ტემპერატურისა და SAR-ის უფრო მაღალი ნამატი გვაქვს, იმიტომ რომ ბავშვის ქსოვილები მეტ წყალს შეიცავს და ელექტრომაგნიტური ველისადმი უფრო მგრძნობიარეა, შესაბამისად, მობილური ტელეფონის გამოყენება ბავშვისთვის უფრო საშიშია და უკეთესია, თუ გამოსხივებას მოვარიდებთ“, – აღნიშნა ვერიკო ჯელაძემ.

ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი ასევე დასძენს, რომ ტელეფონზე საუბრისგან ავტომობილში თავი უნდა შევიკავოთ, რადგან ის მეტალის კორპუსისგან შედგება, რაც ძლიერ რეზონანსულ ველს წარმოქმნის, რომელიც ელექტრომაგნიტურ ტალღებს აძლიერებს და ეს ჩვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲙᲐᲛᲔᲠᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ

ალბათ ბევრს გაუგია ადამიანი, სახელად იანუშ კორჩაკი მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მისი სახელი წარმოუდგენელ მსხვერპლთან და ჰუმანიზმთან ასოცირდება. კორჩაკი იყო ცნობილი პედაგოგი, ექიმი და მწერალი.

ამ საოცარმა ადამიანმა სამჯერ განაცხადა უარი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე. პირველად ეს პოლონეთის ოკუპაციის წინ, ნაცისტებთან ომის დასაწყისში მოხდა, როცა იანუშმა გადაწყვიტა არ წასულიყო საზღვარგარეთ, რათა არ დაეტოვებინა **“ობოლთა თავშესაფარი”** ბედის ანაბარად. მეორედ – როცა მტკიცე უარი განაცხადა ვარშავის გეტოდან გაქცევაზე.

მესამეჯერ კი მაშინ, როცა **“ობოლთა თავშესაფრის”** აღსაზრდელები უკვე ასულები იყვნენ ბანაკში მიმავალი მატარებლის ვაგონში. მოულოდნელად კორჩაკთან **ᲔᲡᲔᲡ**-ის ოფიცერი მივიდა და შეეკითხა:

– **ეს თქვენ დაწერეთ “მეფე მათიუშ პირველი”? ბავშვობაში წავიკითხე. კარგი წიგნია. თქვენ თავისუფალი ბრძანდებით.**

– ბავშვები?

– **ბავშვები წავლენ. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ჩამოხვიდეთ ვაგონიდან.**

– ცდებით. არ შემიძლია. ყველა ადამიანი არაა ნაძირალა.

რამდენიმე დღის შემდეგ ტრელინკის საკონცენტრაციო ბანაკში იანუშ კორჩაკი თავის ბავშვებთან ერთად შევიდა გაზის კამერაში. სიკვდილისკენ მიმავალ კორჩაკს ხელში აყვანილი მიჰყავდა ორი პატარა, რომლებიც ვერაფერს ხვდებოდნენ, და ჩურჩულით უყვებოდა ზღაპარს.

ალბათ მეტი აღარაფერის თქმა არ არის საჭირო იანუშ კორჩაკზე. ეს ისტორია გაცილებით მეტ რამეს ამბობს მასზე, ვიდრე ნებისმიერი მჭერმეტყველება.

“ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲣᲠᲓᲐ, ᲛᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲓᲒᲝᲛ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲫᲘᲜᲐᲗ ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ”

„სააკაშვილი მალე აღარ იქნება ოდესის გუბერნატორი და მოუწევს ახალ პროექტზე ფიქრი, სადმე რუანდაში, სადაც მისი ოჯახის წევრებს მილიონიანი ანგარიშები აღმოაჩნდათ“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას საქართველოს განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ირაკლი გოგავა, რომლის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი კედელთან ააყუდეს, შეუმცირეს ეთერი ცენტრალურ სატელევიზიო არხებზე და, შესაბამისად, მისმა რეიტინგმაც **“ჩაყვინთა”**.

რა კავშირი აქვს სააკაშვილს რუს მილიარდერ გრიგორიშინთან და რა მიზნით ჩაშალა ოდესის საპორტო ქარხნის აუქციონი? ამ საკითხებთან დაკავშირებით სააგენტო for.ge ირაკლი გოგავას ესაუბრა.

სააგენტო “РБК-Украина”-ს ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტის დავალებით, უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო ოდესის საპორტო ქარხნის დირებულების შემცირებასთან მიხეილ სააკაშვილის შესაძლო კავშირს გამოიძიებს. როგორც ირკვევა გამოძიება უკრაინის რადას რამდენიმე დეპუტატის მიმართვის საფუძველზე დაიწყო. ბატონო ირაკლი, თქვენი ინფორმაციით, რამდენად დასტურდება ეს ინფორმაცია და რა ხდება სააკაშვილის გარშემო?

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ: ოდესის საპორტო ქარხანა გიგანტური ქიმიური წარმოებაა, რომელიც აწარმოებს სასუქებს – ამიაკს და კარბამიდს. რეალური საბაზრო ღირებულება 1 მილიარდი აშშ დოლარია. მაღალი რენტაბელობის საწარმოსთვის დიდი ხანია მიდის ბრძოლა სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებს შორის. ბოლოს უკრაინის მთავრობამ ის აუქციონზე გამოიტანა 531 მილიონ დოლარად, თუმცა პრივატიზაცია ჩაიშალა.

– აუქციონის ჩაშლა სააკაშვილთან არის კავშირში?

– აუქციონის ჩაშლას სააკაშვილს აბრალებენ და სწორედ ამიტომ წარმოიშვა ეჭვი, რომ ის ცდილობს ქარხანა საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციოს, ან მიჰყიდოს ახლობელ ბიზნესმენს, რომლისგანაც ხეირი ექნება. სააკიანცმა დავით საყვარელიძის და გიზო უგლავას მეშვეობით, რომელიც არის უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე, აღძრა საქმე ქარხნის მოქმედი ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მისი დაშინების მიზნით.

არის მოსაზრება, რომ სააკაშვილს სურს მის უკან მდგომმა ბიზნესმენთა ჯგუფმა შეიძინოს ოდესის ქიმიური ქარხანა 150 მილიონ აშშ დოლარად. ეს სქემა გაშიფრეს რადას დეპუტატებმა კნიაჟიცკიმ, დროზდიკმა, პიზნენიკმა და გოლუბოვმა, რომლებმაც მიმართეს უკრაინის პროკურატურას და ანტიკორუფციულ ბიუროს, დაიწყონ გამოძიება სააკაშვილის კორუფციული საქმიანობის საგანზე.

– ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ პოროშენკომ სააკაშვილი კორუფციაში ამხილა, რაც ოდესა-რენის ახალ გარემონტებული მაგისტრალის გახსნას უკავშირდება. იკვეთება სააკაშვილის კავშირი კორუფციაში?

– ოდესა-რენის მაგისტრალზე სააკაშვილმა იმდენი ისაუბრა, რომ ყველას ეგონა, რადაც მსოფლიო საოცრებას აშენებდა. აღმოჩნდა, რომ ეს არის ჩვეულებრივი ორმხრივი ორზოლიანი ასფალტის გზა, რომელიც ჩამორჩება გრაფიკს და უკრაინის სხვა ოლქებში გაცილებით მეტი გზა არის გაკეთებული შედარებით იაფად და ხმაურის გარეშე. პრეზიდენტმა პოროშენკომ სწორედ ამის გამო **“შეჯორა”** ოდესის საგზაოს უფროსი და გუბერნატორი. **“მოტეხა”** თუ არა სააკაშვილმა გზებიდან ფული ვერ გეტყვით, თუმცა მას უკრაინაში ხელმრუდის იმიჯი ნამდვილად ჩამოუყალიბდა.

– აქამდეც ვრცელდებოდა ინფორმაცია სააკაშვილის კორუფციულ სქემაში ჩართულობაზე...

– მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქველმოქმედო ორგანიზაცია **“ოდესის კეთილდღეობისთვის”** საქმიანობა, სადაც ოდესის ოლქის ბიზნესმენებისგან იკრიბებოდა ხარკი და მიხეილ სააკაშვილი მას სურვილისამებრ ხარჯავდა. უკრაინის უშიშროების სამსახურმა ფონდის ოფისი გაჩხრიკა, რომელიც გუბერნატორის რეზიდენციაში მდებარეობს. სააკაშვილი **“დაუმეგობრდა”** ოდესელ ბიზნესმენებს კაუფმანს და გრანოვსკის, ასევე მშენებელ კირნან ადნანს. ის შემჩნეულია რუს მილიარდერთან გრიგორიშინთან ახლო ურთიერთობებში რაც თავისთავად აჩენს დასაბუთებულ ეჭვს.

ჩვენთვის უკვე უინტერესო და არააქტუალური ხდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სასტიკად დამარცხებული და პოლიტიკურად გაკოტრებული დაშნაკის მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების გაშუქება, რომელიც მალე სამსახურის გარეშე დარჩება და გასაქცევიც არსად ექნება, მაგრამ მისი ავბედითი პერსონა ხშირად უნდა შევახსენოთ ქართველებს როგორც ჩვენი ერის პოლიტიკური უმწიფრობის აშკარა გამოხატულება და მესიის მუდმივი მოლოდინი. სწორედ ემოციური ქართველი ხალხის ეს სისუსტე ბოროტად გამოიყენა ავადსახსენებელმა ედუარდ შევარდნაძემ, დიდი ფული მიითვალა ქრთამად ამერიკელი მილიარდერის კერკ კერკორიანისაგან და თავზე წამოგვასვა თავქარქაშა დაშნაკი სააკიანცი, რომელმაც თავისი გარყვნილებითა და სადისტური ქმედებებით შეურაცხყო სრულიად საქართველო და ქართველი ერი.

იმედია, ამის შემდეგ მაინც გამოვიჩენთ პოლიტიკურ სიფხიზლეს და მთავრობას ავირჩევთ არა ვინმეს ჯიბრზე, არამედ გულისთქმითა და პოლიტიკური ინტუიციით!

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერდოღანი: „მოსული და ბათუმი თურქეთს ეკუთვნოდა, ყარაბაღი, ყირიმი და აზერბაიჯანი ჩვენი ინტერესების სფეროში შედის“

შეიძლება მსოფლიო პოლიტიკა აიძულებს სახელმწიფოებს დაივიწყონ ისტორიული წყენა და ნორმალური ურთიერთობები დაამყარონ ერთმანეთთან, მაგრამ ქართველებმა თურქებთან ურთიერთობისას არ უნდა დაივიწყონ, რომ თურქების ხელით დაღუპული ჩვენი წინაპრების სისხლი "ცას შესჩუხჩუხებს".

საქართველოს ისტორიული მტრები – თურქები ვერა და ვერ ძღებოდნენ ქართველთა სისხლით, გადარჩენილებს კი სტამბოლის ბაზარზე მიერეკებოდნენ და საქონლივით ყიდდნენ.

არც ამის დავიწყება შეიძლება!

ახლახან კი, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიიპ ერდოღანმა თურქეთის ქალაქ ბურსაში განაცხადა, რომ ერაყის ქალაქი მოსული, რომელიც ამჟამად **„ისლამური სახელმწიფოს“** ბოევიკების ხელშია, თურქეთს ეკუთვნოდა.

15 ოქტომბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიიპ ერდოღანმა, ქალაქ რიზეს (ისტორიული თაიკი) უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას პირდაპირი ტექსტით განაცხადა, რომ თურქეთის სახელმწიფოს თავისად მიაჩნია ტერიტორიები, რომლებიც თურქეთის დღევანდელი, არალეგიტიმური საზღვრების უშალო სიახლოვეს მდებარეობს. **„ჩვენი ინტერესების სფეროში შედის ერაყი, სირია, ლიბია, ყარაბაღი, აზერბაიჯანი, ბოსნია და სხვა მომმე რეგიონები. როცა თურქეთი თავის დამოუკიდებლობას და მომავალს დაკარგავს, მაშინ დავკარგავთ ჩვენს ინტერესს ამ ტერიტორიებისადმი. ბევრ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ თურქეთის საზღვრებში უნდა შედიოდეს კვიპროსი, ალეპო, მოსული, ერბილი, კირკუკი, ბათუმი, სალონიკი, ვარნა, დასავლეთი თრაკია და ეგეოსის ზღვის კუნძულები“,** – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის ნაციონალური კრების საიტზე მითითებულია, რომ „სახელმწიფოები, რომლებმაც ოსმანთა იმპერიის ტერიტორიები დაინაწილეს, ძალიან შეშფოთებული იყვნენ მისაკ-ი-მილის გადაწყვეტილებით“.

„რატომ არ მოეწონათ მათ ეს? მე უბრალოდ, ისტორიის გაკვეთილი ჩავატარე, ეს უნდა გესმოდეთ“, – დასძინა თურქეთის პრეზიდენტმა. მან გააკრიტიკა დასავლეთის ქმედებები, აღნიშნა რა, რომ დასავლეთის ქვეყნებს **„არაფერი მოუმოქმედებიათ“** ერაყისა და სირიისთვის დღევანდლამდე. **„სანამ ისინი უმოქმედოდ იყვნენ, ისინი ხელს უშლიდნენ ისეთ გულწრფელ ნაციებს, როგორიც ჩვენ ვართ, რაიმეს გაკეთებაში“,** – ხაზი გაუსვა ერდოღანმა.

17 ოქტომბრის ღამეს კოალიციამ, აშშ-თი სათავეში, **„ისლამური სახელმწიფოს“** მიერ კონტროლირებადი, ერაყის სიდიდით მეორე ქალაქ მოსულის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყო.

აი, როგორი **“მეგობარია“** თურქეთი საქართველოსათვის! შეიძლება სააკაშვილის დედა – გიული ალასანია და თურქი გიულენი კი არიან ერთმანეთს ჩახუტებული მეგობრები, მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი **“მეგობრობა“** საქართველოსათვის მომგებიანი იყოს! ახლა მაინც თუ ხვდებით, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა ყოველნაირად ასლან აბაშიძე თურქების საქართველოში მასობრივად შემოდინებას. მემედ აბაშიძის შთამომავალმა კარგად იცოდა თურქების ველური მადა, განსხვავებით უჯიშო სააკიანცისაგან, რომელმაც გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ ათასობით თურქს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

ვინ იყიდა ადგილი „ნაციონალების“ საარჩევნო სიაში: „ამბობენ, რომ მილიონი ლარი გადაიხადა...“

როგორ იყიდებოდა არჩევნების წასაგებად განწირულ **"ნაციონალთა"** საარჩევნო სიაში ადგილები (**"სახლი გეწვოდეს, ხელები მაინც გაითბეო"**), რა გარიგება შედგა ივანიშვილსა და ბოკერია-ბაქრაძეს ფრთას შორის, ვინ დაამყარა დიქტატურა ნაცმოძრაობაში – ამის შესახებ პარტია **„ახალი საქართველოს“** ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა გაზეთ **„ახალ თაობასთან“** ისაუბრა.

გთავაზობთ ამონარიდებს აღნიშნული ინტერვიუდან:

„გიგა ბოკერიამ, დავით ბაქრაძემ, თამარ ჩერგოლეიშვილმა და ადგილობრივმა ლიდერშიფმა ზუგდიდში ბიძინა ივანიშვილის დავალება პირნათლად შეასრულეს. სანდრა რულოვსი **„დამარცხებულია“,** რითაც მოლაპარაკებების ორივე მხარე კმაყოფილია.

– ნაციონალები სანდრა რულოვსის დამარცხებით თუ კმაყოფილი არიან, რატომ საყვედურობენ მას კანდიდატური მოხსნის გამო? ვის აძლევდა ხელს ამგვარი შედეგი?

– ეს მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი სპექტაკლის ნაწილია. ნაციონალური პარტიის ლიდერებმა ლამისაა სანდრა რულოვსი მოღალატედ გამოაცხადონ. ამით მიხეილ სააკაშვილზე ახორციელებენ ზეწოლას. სააკაშვილს უკვე დიდი ხანია პარტია გიგა ბოკერიას დაჯგუფებამ **„აახია“...** მას შემდეგ აქ გამუდმებით ადგილი აქვს სკანდალებს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ პარტიის საარჩევნო სიაში ადგილების გაყიდვა დაიწყეს.

– რას ნიშნავს, ადგილების გაყიდვა დაიწყეს?

– მაგალითად, თავიდან პარტიულ სიაში არ ფიგურირებდა რამაზ ნიკოლაიშვილი. სიის წარდგენის წინ კი ის სიაში მე-20 ნომრად ვიხილეთ. ამას პარტიაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

– უკმაყოფილება რატომ მოჰყვა? ნიკოლაიშვილი 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში ნაციონალების სიით მოხვდა და ეს პარტია ოფიციალურად არ დაუტოვებია.

– ნაციონალურიპარტიიდან წასვლის შესახებ ნიკოლაიშვილს ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ოზურგეთში **„ქართულ ოცნებას“** ეხმარებოდა. ამის გამო მის მიმართ სერიოზული უკმაყოფილება გამოითქვა. აქედან გამომდინარე, საეჭვო იყო, რომ იგი პარტიის საარჩევნო სიაში, გამსვლელ ადგილზე აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით ბევრი ტყუილ-მართალი ითქვა. **"ნაციონალურ მოძრაობაში"** ყველა ამბობს, რომ მან ეს ადგილი იყიდა და მილიონი ლარი გადაიხადა.

– ამ ინფორმაციას ოფიციალურად ვინმე დაადასტურებს?

– თანხის გამცემი და ამღები ამ ინფორმაციას არ დაადასტურებენ, თუმცა პარტიაში ამაზე საკმაოდ ბევრს საუბრობენ. ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი სიის წარდგენის წინა დღეებში ჩაწერეს გამსვლელ ადგილას, ბევრ ეჭვს აჩენს.

სერიოზული ეჭვები ჩნდება ნაციონალური მოძრაობის სხვა ლიდერების თავისუფლად სიარულთან დაკავშირებითაც. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ მხოლოდ რამდენიმე ლიდერი დააკავა, გიგა ბოკერიას და დავით ბაქრაძეს არავინ შეეხო, არადა, თუ სისტემა სჩადიოდა დანაშაულს, მაშინ მარტო მერაბიშვილი არ უნდა ყოფილიყო დამნაშავე. გიგა ბოკერია უშიშროების საბჭოს მდივანი გახლდათ, დავით ბაქრაძე კი პარლამენტის თავმჯდომარე – სისტემურ დანაშაულებზე მათთვისაც მკაცრად უნდა მოეთხოვათ პასუხი. მათი პასუხისმგებლობის საკითხი კი არავის დაუყენებია.

შედეგად მივიღეთ **„ქართული ოცნების“** გამპრავებელი კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან მომავალშიც ითანამშრომლებს...“

შორენა მარსაგიშვილი,
გაზეთი „ახალი თაობა“

კადაფის დამხობა, პირველი ომი წყლის რესურსისთვის

2016 წლის ოქტომბერის ბოლოს გავიდა ზუსტად ხუთი წელი იმ დროიდან, როდესაც ამერიკელი პატრონების დავალებით **„ალ კაიდას“** მებრძოლებმა მხეცურად გამოასალმეს სიცოცხლეს ლიბიის ჯამაჰერიის ლიდერი, მთელ არაბულ სამყაროში ერთდერთი სოციალისტური ქვეყნის აღმშენებელი, პოლკოვნიკი მუამარ ალ კადაფი.

მიზეზი, რისი გულისთვისაც დასავლეთმა ასეთი მხეცური სიკვდილისთვის გაიმეტა კადაფი – ერთ დროს თავისი მოკავშირე და პარტნიორი – იყო ის, რომ პოლკოვნიკმა გადაწყვიტა განეხორციელებინა გრანდიოზული პროექტები: მოერწყა და გაენოყიერებინა მთელი ლიბიის უდაბნო, შემოეღო პანაფრიკული ვალუტა ე.წ. **„ოქროს დინარი“**, მოეხდინა ლიბიის ნავთობმომპოვებელი ინდუსტიის ნახევრის ნაციონალიზაცია. ამ პროექტების განხორციელების შემთხვევაში ლიბია იქცეოდა აფრიკის ლიდერად, რაც, თავისთავად, აფრიკაში დასავლეთის ნავთობმომპოვებელი და წყლისმიმწოდებელი ტრანსნაციონალური კომპანიების ჰეგემონიას დაუსვამდა წერტილს.

ფაქტია, რომ დღევანდელი მთელი აფრიკა კვლავ დოლარის მონობის ქვეშ იმყოფება. ლიბიის ნავთობი დასავლეთის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ მყოფი **„ისლამური სახელმწიფოს“** მებრძოლების კონტროლქვეშაა, ისლამისტები ასევე აკონტროლებენ კადაფის მიერ შექმნილი მტკნარი წყლის ე.წ. **„გრანდიოზული ხელთქმნილი მდინარის“** ერთ ნაწილს. ისლამისტების ინტერესი მდინარისადმი რომელიც მდებარეობს ქ. სირტიდან რამდენიმე კილომეტრში, ძალიან დიდია, რადგან, როგორც ჩრდილოეთ აფრიკაში, ასევე მთელ აღმოსავლეთში სასმელი წყალი სამჯერ ძვირია, ვიდრე ნავთობი, ხოლო ლიბიაში წყლის რესურსების მარაგი ბევრად აღემატება ნავთობის მარაგს: 35 ათასი კუბური კილომეტრი არტეზიული წყლები, 4,9 მილიარდი ტონა ნავთობის საპირისპიროდ. როგორც გამოთვლებით ირკვევა, არტეზიული წყლების რაოდენობა და მათი ღირებულება ორმოცჯერ აღემატება ნავთობის რეზერვებს და მის ღირებულებას ლიბიაში. ზუსტად ამიტომაც, ლიბია-დასავლეთის ომის, ერთ-ერთი სპონსორები დასავლეთის მხრიდან, იყვნენ ფრანგული ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებსაც მსოფლიოში სასმელი წყლის გაყიდვების მონოპოლია გააჩნიათ.

„გრანდიოზული ხელთქმნილი მდინარე“, როგორც მას ლიბიელები ეძახიან, წარმოადგენს გიგნტურ წყალმომარაგების სისტემას, რომელიც აერთებს ნუბიის უდაბნოში მდებარე არტეზიული წყლების მიწისქვეშა ზღვას ლიბიის ყველა ქალაქთან. მისი მშენებლობა დაიწყო 1984 წელს და დაჯდა 27 მილიარდი დოლარი. ის აღიარებულია როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდი საირიგაციო სისტემა, ხოლო კადაფი მას **„მსოფლიოს მერვე საოცრებას“** უწოდებდა.

ოთხი ათასი რკინაბეტონის მილი ოთხი მეტრი დიმეტრით, გაერთიანებულია მიწისქვეშა ურთულესი სისტემით, თავისი ათასობით აკვედუკებით, შახტებით და ჭებით (სიღრმით ხუთს მეტრამდე). ის დღეღამის განმავლობაში 7 მილიონ კუბურ მეტრ წყალს ატარებს და, გარდა იმისა, რომ მთელ ლიბიას ამარგებს სასმელი წყლით, 180 ათას ჰექტრამდე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწასაც რწყავს. მის ასაშენებლდ საჭირო გახდა 90 მილიონი კუბური მეტრი გრუნტის ამოთხრა. ამ უდიდესი მტკნარი წყლის მარაგის აღმოჩენა, გასულ სუკუნის 60-იან წლებში ნავთობის ახალი საბადოების კვლევა-ძიების დროს კუბიისის წლის რეზერვურის მიგნებით დაიწყო.

„გრანდიოზული ხელთქმნილი მდინარის“ ეკონომიური ეფექტი აღმოჩნდა იმაზე უფრო გრანდიოზული, ვიდრე ამას ვარაუდობდა პოლკოვნიკი კადაფი, მისი მშენებლობის დაწყების წინ. ხელოვნურმა ირიგაციამ არა მარტო დააკმაყოფილა ლიბია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, არამედ რეგიონი სოფლის მეურნეობის პროდუქტის მთავარი იმპორტიორი გახადა. იმის გამო, რომ მდინარის პროექტი საგარეო ინვესტიციების გარეშე განხორციელდა, ლიბიამ შეძლო სასმელი წყლის მსოფლიოში ყველაზე დაბალი ფასის შენარჩუნება, რაც კუბურ მეტრზე 37 ცენტის ტოლფასი იყო. (შედარებისთვის – ევროკავშირში სასმელი წყლის ფასი 2 ევროს ფარგლებშია, ხოლო, გასაყიდად არაბულ და აფრიკულ ქვეყნებში ტრანსნაციონალური დასავლური კომპანიები 3,7-4 დოლარად აგზავნიან. პოლკოვნიკი კადაფი არა მარტო დაბლა სწევდა წყლის ფასს მსოფლიოში, არამედ აპირებდა მთლიანად ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოს მორწყვით, კონტინენტზე შიმშილის პრობლემის გადაწყვეტას, რაც რეგიონის როგორც ეკონომიური ასევე რეალური პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინდარი გახდებოდა. მართალია, როდესაც ეს პროექტი, როგორც საჩუქარი წარუდგინა **„მესამე ქვეყანათა“** ლიდერებს, დააყოლა: **„ამის მერე გაძლიერდება აშშ-ს დაწოლა ჩემზე და ჩემს ქვეყანაზე... მართალია, ეს იქნება სულ სხვა საბაბით, მაგრამ სინამდვილეში ძირითადი მიზანი იქნება რომ ეს პროექტი არ განხორციელდეს, ხოლო ლიბია, მისი ხალხი და მასთან ერთად მთელი აფრიკა დარჩეს მათი ზედმხედველობის და პროტექტორანტის ქვეშ“**

ეს პროექტი და მისი წარდგენა იყო დიდი გალაწუნება მთელი დასავლეთისთვის. ამიტომაც ფარავდა ამას ფსევდოდემოკრატიული დასავლური პრესა, რადგან მათი სპონსორებსათვის (ტრანსნაციონლური კომპანიებისთვის და დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისთვის) ხელსაყრელია წყლის დეფიციტის არსებობა, რათა შეინარჩუნონ მაღალი ფასები წყლის რესურსებზე და ამ ჰუმანიტარული პრობლემით შემდეგ ისპეკულიანტონ. ეს კი შესაძლებლობას მისცემს შეინარჩუნონ გავლენა ახლო აღმოსავლეთზე და მთლიანად აფრიკის კონტინენტზე.

ამიტომ, ლიბიის დაბომბვა კოალიციის ჯარების მიერ, რასაც მოჰყვა პოლკოვნიკ კადაფის მხეცური მკვლელობა და დასავლეთის მიერ კონტროლირებადი ისლამისტური ფუნდამენტალისტებისათვის ლიბიის სათარეშოდ გადაცემა, არის მსოფლიოში წყლის რესურებისთვის გამართული პირველი ომის საზარელი შედეგი.

ვიქტორ ცაავა

„სუხიშვილების ანსამბლს თავისუფლად შეუძლია კონცერტებით ირჩინოს თავი და ამ დროს ჩვენ გვარჩენინებს“

2017 წლის ბიუჯეტის პროექტმა ჩვენს საზოგადოებაში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ყველაზე ცხარე დებატები კი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების დაფინანსების გაზრდას მოჰყვა. ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მათი დაფინანსება მომავალ წელს 37%-ით არის გაზრდილი და 946 მილიონი ლარია. 2017 წლისთვის სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების გადასახდელები 1.86 მილიარდი ლარი იქნება, აქედან 946 მილიონი საბიუჯეტო დაფინანსებაა, 914 მილიონი კი – მათივე შემოსავლები. ბიუჯეტის პროექტში 226 სსიპ და 67 ა(ა)იპ არის შესული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემებით, ბიუჯეტის თანდართული დოკუმენტი, რომელშიც სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესახებ არის ინფორმაცია, არასრულია. აუდიტის სამსახურმა თავად აღმოაჩინა 7 სსიპ/ა(ა)იპ, რომელიც ბიუჯეტის პროექტში არ იყო შესული, მათ შორის არის „საქპატენტი“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“. ეს საკითხი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამაც“ შეისწავლა და დადო დასკვნა, რომ ბიუჯეტის პროექტის მიხედვით არარაციონალური ხარჯვის რისკი იზრდება, რადგან იქ არ არის ინფორმაცია სსიპ-სა ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ და ეს მაშინ, როცა მომავალ წელს 4%-ით იზრდება და 716 მილიონ ლარს აღწევს სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ანაზღაურება – ეს 30 მილიონით მეტია 2016 წლის ანალოგიურ ხარჯზე.

რამდენად გამართლებულია ამ ორგანიზაციების ბიუჯეტიდან დაფინანსება? – „ბიზნესპრესნიუსმა“ ამ საკითხის შეფასება ექსპერტ გია ხუხაშვილს სთხოვა.

„სსიპ-სა და ა(ა)იპ-ების მიმართ უნივერსალური მიდგომა არ არსებობს. გამომდინარე იქიდან, რომ მათ აქვთ თავიანთი სამეურნეო მოღვაწეობის სეგმენტი, სასურველია, ისინი მოგებაზე იყონ ორიენტირებული და თავიანთ თავს თვითონ ინახავდნენ. მათი არსებობა, თუკი ისინი წამგებიანი არიან, საერთოდ აბსურდია, თუმცა აქ სანახავია კონკრეტულად რა ამოცანები აქვთ ამ სსიპ-ებს, რამდენად საჭიროებენ დაფინანსებას, რომ განვითარდნენ, რა მიზნები აქვთ, თუმცა უმჯობესია ეს ორგანიზაციები საკუთარ სამეურნეო შემოსავლებზე იყონ ორიენტირებული. სხვანაირად მათ არსებობას აზრი არა აქვს. ისინი თავიანთი შემოსავლიდან უნდა ახდენდნენ რეინვესტირებას და სერვისების გაფართოებას. თუ ეს სუბიექტები ვერ ახერხებენ თავიანთი თავის შენახვას და ყველა ბიუჯეტზეა ჩამოკიდებული, ჩნდება კითხვა – რა საჭიროა მათი არსებობა საერთოდ?

რაც შეეხება უნივერსიტეტს, მისი დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან და ფონდებიდან უნდა ხდებოდეს, მაგრამ ის, რომ რომელიმე სასწავლებელი ფინანსურად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყოს, არასწორია. უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს იმ დაფინანსებით იარსებოს, რაც სტუდენტებზეა გამოყოფილი და თუ ვერ არსებობს, მაშინ უნდა იყოს ფონდები, რომლებიც ამ დეფიციტს შეავსებენ, ეს არ უნდა ხდებოდეს ბიუჯეტიდან“, – აღნიშნავს გია ხუხაშვილი.

ამავე მოსაზრებას იზიარებს „თავისუფალი ეკონომიკური სკოლის“ დამფუძნებელი პაატა შეშელიძე, რომელმაც რამდენიმე ცნობილ ორგანიზაციაზე გაამახვილა ყურადღება.

„გააჩნია, რას აკეთებენ ეს სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები. თუმცა ასეთი ინსტიტუტები პრივატიზებული უნდა იყოს და მათი საქმიანობა კერძო სექტორში უნდა გადავიდეს – ჩემი აზრით, ეს არის ყველაზე მთავარი. ავიღოთ თუნდაც ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასეთი სახელწიფო სტრუქტურის საჭიროება არ არსებობს. თუ ვინმე რაღაც გამორჩეულ ინოვაციას გვთავაზობს, ამას კერძო სექტორი თავადაც მიხედავს, რადგან იქ მოგებას დაინახავს. ასეთი ქველმოქმედება სსიპ-ების მიმართ არასწორია, რადგან დიდია ალბათობა, რომ ეს ფული არამიზნობრივად დაიხარჯება. ამიტომ, ჯობია ზოგიერთი ასეთი ორგანიზაცია მთლიანად გაუქმდეს, ზოგი კი – კერძო სექტორში გადავიდეს. დარჩება ის, ვინც საკუთარ თავს მიხედავს და საამისოდ პოლიტიკური შუამავლები არ დასჭირდება“, – აღნიშნავს პაატა შეშელიძე.

მისი აზრით, ეს ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტსაც და თსუ თავისუფლად შეიძლება გადაკეთდეს კერძო დაწესებულებად.

„თავის დროზე, როდესაც ის ივანე ჯავახიშვილმა დააარსა, კერძო სასწავლო დაწესებულება იყო და მერე ეს წოდება კომუნისტებმა წაართვეს. უნივერსიტეტს თავისუფლად შეუძლია თავიც ირჩინოს და საუკეთესო კადრებიც მოიზიდოს. ახლა კი, ეს არის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც გაუბედავი რექტორები მართავენ, რომლებიც მთლიანად პოლიტიკოსებზე არიან დამოკიდებული. იგივე უნდა ვთქვა სუხიშვილების ანსამბლზე, რომელსაც მსოფლიო სახელი აქვს: მას თავისუფლად შეუძლია კონცერტების გამართვით ირჩინოს თავი და ამ დროს ჩვენ გვარჩენინებს. მე მაგათი კონცერტი არ მინახავს, რადგან არ ატარებენ და როცა ატარებენ, იქ ისეთი ანშლაგია, რომ ფეხსაც ვერ შედგამ. გაუგებარია, ბიუჯეტიდან რატომ უნდა ფინანსდებოდნენ ჯანსაღი ადამიანები, რომლებსაც თავის რჩენა თავისი შრომითაც შეუძლიათ – ეს არის ნონსენსი. სუხიშვილების ანსამბლი (რომელიც ავადსახსენებელი ნაციონალების თავგადაკლული გულშემატკივარია) რომ წმინდა კომერციული ორგანიზაცია იყოს, უფრო მეტი პატივისცემა ექნება, ვიდრე დღეს აქვს და უფრო მეტი შემოსავალიც. როცა ყველას ეცოდინება, რომ თბილისში მათი კონცერტები რეგულარულად ტარდება, მათ სანახავად უცხოეთიდანაც ჩამოვლენ ისევე, როგორც საფრანგეთში ჩადის ხალხი, რომ კანკანის ცეკვა ნახოს. მსგავსი სსიპ-სა და ა(ა)იპ-ების დაფინანსება ბიუჯეტიდან ჩემთვის მიუღებელია“, – აცხადებს პაატა შეშელიძე.

უკრაინული პრესის ანტიქართული ისტერია: „როცა უკრაინის დელეგაციის მეთაური „ქართულ ოცნებას“ „კოშმარს“ უწოდებს, იგი უკვე ამ „კოშმარული“ პარტიის წევრებს მხარდაჭერას ვეღარ სთხოვს“

კიევში მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის მოხსენების პრეზენტაცია გაიმართა თემაზე **„საგარეო პოლიტიკის აუდიტი: უკრაინა-მოლდოვა“,** რომელსაც საქართველოს ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლებაც დაესწრო. ღონისძიების დროს ქართველმა დიპლომატმა პასუხი გასცა იმ შეკითხვასაც, რომელიც უკრაინა-საქართველოს ურთიერთობებს ეხება.

ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული გამოცემა **„სეგოდნია“** ავრცელებს.

საინფორმაციო სააგენტო **„ნიუსპრესი“** გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

რასაკვირველია, ყველაზე მთავარი საკითხი, რომელიც ამ ბოლო დროს, უფრო ზუსტად კი 12 ოქტომბერს მოხდა ორი ქვეყნის ურთიერთობებში, ისაა, რომ 12 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში უკრაინის დელეგაციის წევრებმა ქართველ კოლეგებს უსაყვედურეს, რომ მათ ხმა არ მისცეს უკრაინისათვის სასარგებლო რეზოლუციას, ანუ ქართველებმა უკრაინის პოზიციას მხარი არ დაუჭირეს. უკრაინულმა მასმედიამ მყისიერად აიტაცა ეს ინფორმაცია და, როგორც იტყვიან, მთელი მედიასივრცე ანტიქართული მასალებით წაილეკა.

მიხეილ უკლება თვლის, რომ უკრაინული დელეგაციის მიერ ქართველი კოლეგებისადმი გამოთქმული საყვედურები არაობიექტურია, რადგან ქართველებს ის არ დაუმსახურებიათ. პრინციპში, იმის მიზეზი, რომ ქართველმა დეპუტატებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს უკრაინის სასარგებლო რეზოლუციის კენჭისყრაში, თვითონ უკრაინელების მიერ კომუნიკაციაში დაშვებული შეცდომის ბრალია. დიპლომატმა განმარტა, როცა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მნიშვნელოვანი რეზოლუცია განიხილება, ამ დროს დაინტერესებული ქვეყნის დელეგაციის წევრები სხვა დელეგაციებთან უნდა მივიდნენ და დოკუმენტის განხილვის დრო უნდა შეატყობინონ, მაგრამ უკრაინის დელეგაციას ეს არ გაუკეთებია, ანუ ქართველებისთვის დრო არ შეუტყობინებია. შესაბამისად, საქართველოს დელეგაციის წევრები სხვა ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ.

„იცით, რატომ იყო ცუდი კომუნიკაცია უკრაინისა და საქართველოს დელეგაციებს შორის? იმიტომ, რომ თქვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ამხანაგმა ვლადიმირ არევმა საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურში გამარჯვებულ პარტიას იცით, რა უწოდა? ეს „ოცნების“ პარტია კი არა, „კოშმარის“ პარტია არისო. გესმით? ჰოდა, როცა უკრაინის დელეგაციის მეთაური „ქართულ ოცნებას“ „კოშმარს“ უწოდებს, იგი უკვე ვეღარ მივა საქართველოს „კოშმარული“ პარტიის წევრებთან და ვერ ეტყვის – ძვირფასო მეგობრებო, მხარი დაგვიჭირეთ რეზოლუციის კენჭისყრის დროსო“, – განმარტა მიხეილ უკლებამ. ელჩმა იქვე დაამატა, რომ ასამბლეის სესიაზე კენჭისყრის წინ, კომიტეტის სხდომაზე საქართველოს დელეგაციის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ყველა რეზოლუციაში შესატან ყველა იმ ცვლილებებს, რომელიც უკრაინის დელეგაციის მიერ იყო ინიცირებული.

ქართველმა დიპლომატმა ასევე აღნიშნა, რომ იგი იმედგაცრუებულია იმ [ანტიქართული] ისტერიით, რომელიც უკრაინის მასმედიამ რეზოლუციასთან დაკავშირებით დაიწყო და ჟურნალისტებს მოუწოდა, თავი შეიკავონ მსგავსი მკვეთრი განცხადებებისაგან, რომელიც **„წყალს საერთო მტრის წისქვილზე ასხამს“**. მიხეილ უკლებამ გაახსენა ჟურნალისტებს, რომ 2014 წლამდე უკრაინა ყოველთვის ანტიქართულ პოლიტიკას მიჰყვებოდა და უარს აცხადებდა იმ რეზოლუციებისადმი მხარდაჭერაზე, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეხებოდა.

ივანიშვილი 500 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს იწყებს

ეს წერილი რამდენიმეჯერ წააკითხეთ მუდამ სხვის ჯიბეს მიძუძგურებულ უტიფარ არსებას, პოლიტიკოსად წოდებულ არარაობას შალვა ნათელაშვილს!

“აი, “როგორ “მოისყიდა” ამომრჩევლები ბიძინამ: ააშენა *სამების საკათედრო ტაძარი, 800 ეკლესია-მონასტერი აღადგინა და ყველა თეატრი გაარემონტა, შესაბამისად აღჭურვა ჯარი და პოლიცია, მოახდინა სკოლების კომპიუტერიზაცია, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს დაუნიშნა სტიპენდიები, ჩაატარა უნივერსიტეტის რემონტი და მოამარაგა იგი აუცილებელი აღჭურვილობით, შეუძინა და უსასყიდლოდ გადასცა ფიროსმანის ტილოები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ააშენა "ბლექ სი არენა", მოაწყო დენდროპარკი ციხისძირში, დიდ თანხებს ახმარს თბილისის ბოტანიკური ბაღის შენახვას და მის რეაბილიტაციას, ააშენა საავადმყოფო საჩხერეში და კიდევ ვინ უწყის, რამდენი რამით ცდილობდა “მოესყიდა” ქართველი ამომრჩეველი... ბოლოს. მწამებლებს გამოგლიჯა გაწამებული ხალხი და ციხეებიდანაც გამოუშვა პოლიტპატიმრები, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოისყიდა ამომრჩეველი, რადგან მედგარი მოსახლეობის ოცდაშვიდმა პროცენტმა მაინც ავადსახსენებელ ნაციონალურ მოძრაობას მისცა ხმა”.*

სამიოდ კვირის წინ საფუძველი ჩაეყარა ორი ძალიან მასშტაბური პროექტის განხორციელებას, საქველმოქმედო ფონდ **“ქართუს”** სრული ფინანსური მხარდაჭერით. საუბარია სიმსივნის ადრონული თერაპიისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო საგანმანათლებლო ცენტრის შექმნასა და ტექნოლოგიური ინსტიტუტის მშენებლობაზე, რომელთა ჯამური ღირებულება ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენს. საინტერესოა, რომ ეს ორი პროექტი, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ადრონული თერაპიის განვითარებისთვის საჭირო კვლევითი ბაზა, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მფარველობის ქვეშ გაიმართება.

რაც შეეხება სსიპ **„ტექნოლოგიური ინსტიტუტის – ადრონული თერაპიის მეგაპროექტის გარშემო თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის“** შექმნის შესახებ კანონპროექტს, საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომამ 1 სექტემბერს მისცა მსვლელობა.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიზანია, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ეფექტიანი მოდელის უზრუნველყოფა – თანამედროვე სამეცნიერო თეორიული და ექსპერიმენტური ბაზის შექმნა, უმაღლესი განათლებისა და დარგთაშორისი სასწავლო-კვლევითი პროგრამების განვითარება, აგრეთვე მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისა და საინოვაციო ეკონომიკის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

ტექნოლოგიური ინსტიტუტის საქმიანობის სფერო იქნება, მედიცინისა და სხვა დარგებში კვლევის შედეგების დანერგვა.

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, ტექნოლოგიური ინსტიტუტის დანიშნულებაა ადრონული თერაპიის მეგაპროექტის გარშემო სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის ხელშეწყობა, ფუნდამენტური კვლევების მიმართულებების განსაზღვრა და საერთაშორისო აღიარების მოპოვება: სტუდენტების პიროვნული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების, თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი კომპეტენციების გამომუშავებისთვის ხელისშეწყობა, მკვლევართა მომზადება და მათთვის თანამედროვე სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევების პირობების შექმნა, სადოქტორო, სამაგისტრო და უმაღლესის შემდგომი კვლევითი პროგრამების განხორციელება, ტექნოლოგიების დანერგვისკენ ხელშეწყობა და ა.შ. კანონპროექტის მიხედვით, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია: საქართველოს ბიუჯეტი; ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; გრანტები; შემოწირულობები და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

საინტერესოა, ამაზე რაღას იტყვიან ყბამოღრეცილი და ენამოუვლელი შალვა ნათელაშვილი და მისი ალი-კვალი გიორგი გუგავა, რომლებიც მხოლოდ **“ოლიგარქ-კრიმინალად”** მოიხსენიებენ ბიძინა ივანიშვილს?

ილორი
ეროვნული
ინფორმაციისა

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

...როცა საქართველოც ვინმეესთვის უხერხულია

ნამდვილად არ გვინდა, ის მართლაც ტრადიციადქცეული რეალობა ამჯერადაც გამეორდეს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, ჩვენი ნაკრებისთვის დასაწყისშივე დასრულდეს! არადა, როგორი საქმეა: კვირას, 9 ოქტომბერს, საქართველოს ნაკრების მეტოქე მსოფლიოს კლასიფიკაციაში 23-ე ადგილზე მყოფი უელსის ნაკრებია – გუნდი, რომელიც ამ შესარჩევი ციკლის დაწყების წინ პირველ კალათაში იყო განთესილი.

აღარაფერს ვამბობთ უელსის ნაკრების მართლაც გამორჩეულ ასპარეზობაზე ამ ზაფხულს საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც კრის კოულმენისდამოძღვრილმა ნაკრებმა თავისთვის სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალამადე მიაღწია და მხოლოდ მომავალ ჩემპიონ პორტუგალიასთან დამარცხდა.

უელსის ნაკრებში თამაშობს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი გარეთ ბეილი, აგრეთვე ინგლისურ პრემიერლიგაში გამორჩეული ფეხბურთელები აარონ რემზი, ჯო ალენი, ეშლი უილიამსი, უეინ ჰენესი...

თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ უელსის ნაკრებისთვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე... საქართველოს ნაკრებია. ვისურვოთ, რომ ეს ტრადიცია კვირის მატჩის შემდეგაც გაგრძელებულიყოს და უელსისა და საქართველოს ნაკრებების ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში ჩვენს უპირველეს გუნდს ზედიზედ მეოთხე მატჩში დაემარცხებინოს დღესდღეობით ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი.

დიახ, თანამედროვე ფეხბურთში ორადორი ნაკრებია, რომელთანაც ურთიერთდაპირისპირებაში საქართველოს ნაკრებს 100-პროცენტიანი შედეგი აქვს: უელსს სამივე მატჩი მოუგეთ, ფარერებს კი ორიდან ორი.

ოღონდ, ამ შემთხვევაში არ გვიხსენებია ის ნაკრებები, რომლებთანაც საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული.

3 მატჩი და 3 გამარჯვება – ასე ვხვდებით უელსთან მეოთხე მატჩს. ისიც სათქმელია, რომ ის სამი თამაში ერთმანეთზე მნიშვნელოვანი იყო...

უელსელებთან პირველი დაპირისპირება ჩვენთვის სადებიუტო ციკლში (ევროპის 1996 წლის შესარჩევი ეტაპი) გვქონდა და ისე მოხდა, რომ ამ მატჩამდე საქართველოს ნაკრებმა ორივე სასტარტო შეხვედრა წააგო: მოლდოვასთან – 0:1, ბულგარეთთან – 0:2.

და აი, ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენს ნაკრებს თავის ისტორიაში მესამე ოფიციალური მატჩი ელოდა უელსის ნაკრებთან, რომლის შემადგენლობაშიც იმდროინდელი ინგლისური პრემიერლიგის ვარსკვლავები გამოდიოდნენ: მეკარე – ნილ საუთჰოლი, ნახევარმცველი – დინ სანდერსი და, რადა თქმა უნდა, ორი მართლაც გამორჩეული ცენტრფორვარდი, იან რაში და მარკ ჰიუზი!

უელსელები თბილისში ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოვიდნენ და მხოლოდ ერთადერთი ლიდერი მოისაკლისეს: „მანჩესტერ იუნაიტედის“ მარცხენა გარემარბი, იმ დროისათვის ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი რაიან გიგზი.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ტრავმის გამო გუნდს გოჩა ჯამარაული და დიმიტრი კუდინოვი აკლდა. ამას გარდა, სიახლე იყო ოთხწლიანი პაუზის მერე საქართველოს ნაკრებში გოჩა გოგრიჭიანის დაბრუნება და ალექსანდრე ჩივაძემაც ეს გამოცდილი გოლიადორი ძირითადში გაამწესა.

თუმცა, ვიდრე, იმ მართლაც ისტორიული მატჩის პერიპეტიებს გავიხსენებდეთ, ისიც უნდა ითქვას, თუ რა პირობებში ემზადებოდა საქართველოს ნაკრები! ახალგაზრდა თაობამ, შესაძლოა, არც დაიჯეროს ის ფაქტი, თუ როგორი იყო 90-იანი წლების დასაწყისის თბილისი: ჩაბნელებულ ქალაქში ვერც დიღმის საწვრთნელი ბაზა დაიკვეხნიდა ელემენტარული პირობებით და უელსთან მატჩის წინ ჩვენ ფეხბურთელებს... გარეთ დანთებულ ცეცხლზე უწევდათ ჩაის მოდუღება...

ელექტროენერგიის სწორედ უმწვავესი კრიზისის გამოც იყო, რომ საქართველოსა და უელსის მატჩი შუადღისას, 14 საათზე დაიწყო! თანაც, იმ დროისთვის ევროპულ დროსთან სხვაობა... 5 საათი იყო და ზოგი იმასაც ამბობდა, უელსელებმა გაღვიძებაც ვერ მოასწრეს წესიერად, მატჩის დაწყების დრო რომ მოახლოვდაო!

ასე იყო თუ ისე, ჩვენმა ნაკრებმა იმდენად დამაჯერებლად დაჯაბნა პრემიერლიგის წამყვანი კლუბების ასევე წამყვანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული უელსის ნაკრები, რომ აღარც დროში სხვაობა უნდა ყოფილიყო აქტუალური და აღარც იმდროინდელი უშუქობა თუ უყველაფრობა!..

1994 წლის 16 ნოემბერი მართლაც ისტორიული დღეა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში: საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა (რომლის შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ 4 ლეგიონერი იყო – კახა ცხადაძე, გიორგი ჩიხრაძე, თემურ ქეცბაია, გოჩა გოგრიჭიანი) პირველად შეძლო ოფიციალურ მატჩში გოლ (ებ)ის გატანა და, რაც მთავარია, პირველად შეძლო ოფიციალური მატჩის მოგება.

საქართველოს ნაკრების 26-წლიან ისტორიაში რამდენიმე მართლაც დაუვიწყარი მატჩია, ამათგან ერთ-ერთი კი, უდავოდ, უელსთან შინ დიდი ანგარიშით გამარჯვებაა; ასევე დაუვიწყარია ის ერთმანეთზე უკეთესი 5 გოლი, „ევერტონისა“ და უელსის ნაკრების ვეტერან მეკარე საუთჰოლს რომ გაუტანეს თემურ ქეცბაიამ, გიორგი ქინქლაძემ, გოჩა გოგრიჭიანმა და შოთა არველაძემ.

უკვე იმ დროისთვის ბერძნული აეკ-ის ლიდერი თემურ ქეცბაია კი პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც საქართველოს ნაკრების ოფიციალურ მატჩში ჯერ ის მართლაც ისტორიული და სადებიუტო გოლი რომ გაიტანა, მერე კი სულაც დუბლი შეასრულა!

1994 წლის 16 ნოემბრის მატჩს უფრო დეტალურად მაშინ გავიხსენებთ, როცა მომავალი წლის ოქტომბრის დასაწყისში უელსის ნაკრები თბილისში გვესტუმრება. მანამდე კი, ამ გუნდთან სტუმრად მოგებულ დაპირისპირებებზე ვთქვათ...

კარდიფული მატჩის წინ ისეთი სატურნირო სიტუაცია შეიქმნა, საქართველოს ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება უტოვებდა შანსს, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისათვის გაეგრძელებინა ბრძოლა! ჰო, ასეთი რეალობაც ყოფილა ჩვენი სანაკრებო ფეხბურთის ისტორიაში...

უელსური მატჩის წინ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა: ტრავმის გამო ჩვენი უპირველეს გუნდს ვერ ეხმარებოდნენ გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, ზაზა რევიშვილი და გოჩა გოგრიჭიანი.

ვფიქრობთ, მრავლისმთქმელი კომენტარია, რომელიც მართლაც რეალურად ასახავდა მოედანზე მიმდინარე მოვლენებს და უელსელებს ვერც რამდენიმე საკადრო გადაადგილებამ უშველა: ძირითადში გამოჩნდა პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე უხეში ფეხბურთელი ვინი ჯონსი, ხოლო იმ დროისთვის უელსური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული ათლეტური ცენტრფორვარდი ჯო ჰართსონიშეცვლაზე შევიდა.

ჯონსი ვახსენეთ და მისი ზღვარგადასული უხეშობის შემდეგ მასპინძლები პირველ ტაიმშივე კაცნაკლული დარჩნენ: მიხეილ ყაველაშვილთან ორთაბრძოლაში იმდენად აშკარა იყო წესების დარღვევა, რომ ფინელმა არბიტრმა მაშინვე წითელი ბარათი აუფრიალა მართლაც გადარეულ უელსელ ნახევარმცველს, მთელი კარიერის განმავლობაში მუდამ სკანდალებში რომ იყო გახვეული და მერე, კი სულაც კინომსახიობობა ამჯობინა...

ამ მატჩის ერთადერთი გოლი ისეთი სილამაზის იყო, ალბათ, უკონკურენტოც იქნება საქართველოს ნაკრების ისტორიაში: იმ დროისათვის 20 წლის გიორგი ქინქლაძემ, დაახლოებით 22-23 მეტრიდან, ბრწყინვალე დარტყმით ბურთი თავზე გადაუგდო წინ გამოსულ საუთჰოლს.

ასეთი გოლის გატანა, მხოლოდ და მხოლოდ, უმაღლესი კლასის ფეხბურთელს შეეძლო და უელსური მატჩიდან სულ ცოტა ხანში, ქინქლაძის საშემსრულებლო ოსტატობას უკვე ინგლისურ პრემიერლიგაშიც აღიარებდნენ, როცა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი „მანჩესტერ სიტიში“ გამოდიოდა...

ჩვენზე მზრუნველი ადამიანები

კოლხური ბზის 16 წლის დამცველი

განგაშის ზარს ამას წინათ შემოჰკრეს, რადგან კოლხურ ბზას რაღაც დაავადება შეეყარა და ქართული ფლორის ეს უნიკალური ფენომენი გაქრობის საშიშროების წინაშე დააყენა.

ყველაფერი ორი წლის წინ დაიწყო, როცა ერთ დილით სკოლის დირექტორის ზარმა გააღვიძა. მოსწავლეები ურთის მთაზე კოლხური ბზის თესლის შესაგროვებლად უნდა წასულიყვნენ. ინიციატივა კი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის რეგიონის კოორდინატორს, მაია კოდუას ეკუთვნოდა. რა თქმა უნდა უარი არ ვთქვი და ჩავები კოლხური ბზის გადარჩენის საქმეში, – ამბობს ხობის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე სანდრო ნარსია.

ამის შემდეგ, სანდრომ ეროვნული სამთავრობო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ არაერთ აქტივობაში მიიღო მონაწილეობა. გაიარა ტრენინგ-სემინარები. სკოლის ეზოში კი თანაკლასელებთან ერთად კოლხური ბზის 250 ტოტი დააკალმა.

მოგვიანებით, სანდრომ სახლის სარდაფში სანერგე მეურნეობა მოაწყო, სადაც კოლხური ბზის 200 ტოტი დააკალმა და 1300 მარცვალი დათესა.

„საქართველოს მასშტაბით ბზის კორომების უდიდესი ნაწილი განადგურებულია. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემით მომეწყო პატარა სანერგე სახლში, ჩემი მთავარი მოტივაცია ის არის, რომ დამეცვა ასეთი მნიშვნელოვანი მცენარე და ჩემი წვლილი შემეტანა კოლხური ბზის გადარჩენაში“, – უთხრა **„ლაივპრესს“** სანდრო ნარსიამ.

ზაფხულში, როცა უკვე დაკალმებული ტოტები ღია გრუნტში გადასატანად მზად იქნება, სანდრო მათ გასაჩუქრებას, მომავალ შემოდგომაზე კი ტოტების ისევ დაკალმებას გეგმავს.

სანდროს სახლის ეზოში 150-წლოვანი სამი ძირი კოლხური ბზა ხარობს, რომლებსაც უმკურნალა და სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ნანა ხუბუტია

პატრიარქი შესაძლოა რუსეთში გაემგზავროს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე შესაძლოა რუსეთში გაემგზავროს. როგორც ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა, საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე გერასიმემ (შარაშენიძემ) განაცხადა, პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილის დაბადების 70 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებზეა მიწვეული, თუმცა, ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, გაემგზავრება თუ არა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთში.

„მიიღებს თუ არა უწმინდესი საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობას, მალე უფრო დაზუსტებით გვეცოდინება“, – განაცხადა მიტროპოლიტმა გერასიმემ. გავრცელებული ინფორმაციით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის რუსეთში ვიზიტი 18 ნოემბერს იგეგმება.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი 1946 წლის 20 ნოემბერს ლენინგრადში დაიბადა.

იუმორი

– ექიმო, ძალიან მტკივა ჭიპქვეშა ალაგი, – ეუბნება გურული ექიმს.
– აბა, გაიხადე და გაგსინჯავ!
– რავა, ჩემი არ გჯერა, თუ?!

* * *

– უცხოეთში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?
– ბარები!
–აბა აქ რა ღმერთი გიწყრება, ბარსა და თოხს რომ ვერ გაგაკარებს კაცი!

* * *

ქუთაისელს ძაღლმა უკბინა.
ძაღლის პატრონი ნერვიულობს:
– შარვალი ხომ არ გაგიხიათ?
– არა, ქალბატონო, ტოტები ამიკაპიწა და ისე მიკბინა!

* * *

შვილი "ნაციონალ" მშობლებს:
– მე უკვე სრულწლოვანი ვარ, ამიტომ, რასაც მინდა იმას ვიზამ! – და შტეფსელში თითი შეყო.

* * *

დაფეთებული ქალი თერაპევტის კაბინეტში შერბის:
– უკაცრავად, ქვედა საცვალი თქვენთან ხომ არ დამრჩა?
– არა.
– ესე იგი, ოკულისტთან...

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge